ეწვიეთ ვებ-ბვეჰდს და იკითხეთ ახალი ამბები

29 თებერვალი, 2016 N14

# OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ოთხენოვანი
ბაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL
NEWSPAPER IN GEORGIA

## ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველო გერმანიის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს

გვ. 3

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გერმანია საქართველოს სრულ მხარდაჭერას უცხადებს, ოფიციალური ბერლინი ქვეყნისათვის მაპის მიცემის წინააღმდეგი რჩება. გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს დასავლურ ინსტიტუციებში გაწევრიანების საკვანძო ელემენტია. გერმანიაში ვიზიტი მნიშვნელოვანია რამდენადაც ქვეყნის დასავლური ვექტორის წარმატებულობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აფასებენ გერმანელი პოლიტიკოსები საქართველოს მთავრობის პროგრესს.

## შენგენი ჯოლაფსის წინაშე: ჰა ელის საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციას?

გვ. 5

ევროკავშირში საქართველოს ელჩი, ნატალი საბანაძე არ გამორიცხავს, რომ ევროპაში მიგრაციის კრიზისმა საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის პროცესზეც უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ,,უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიგრაციის კრიზისმა რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ევროკავშირი. ამ ფონზე საკმაოდ რთულია ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ შეიძლება, იყოს რაღაც ფაქტორები, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებელია და რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს, მაგრამ, მე ვარ ოპტიმისტურად განწყობილი", - აღნიშნა საბანაძემ.

საქართველოს საჯითხების განსახილველად ეუთო სპეციალური ჯგუფს შექმნის — გვ. 2

ჩესეთის მოსახლეობაში დასავლეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაიზარდა — გვ. 4

ჯერჯო თუ სახელმწიფო საჯუთრება: ფრაქციები მიწების ჩებისტრასიის საკითხზე მსჯელობენ — გვ. 6

მასშტაბური საჰროტესტო ტალღა "ჰანოჰამ თბილისის" წინააღმდეგ გრძელდება — გვ. 9

საქართველოს მოსახლეობის ჩოდენობა სავარაუდოდ კიდევ უფრო შემცირდება — გვ. 10

# საქართველოს საკითხების განსახილველად ეუთო სპეციალურ ჯგუფს შექმნის

ეკა ფხოველიშვილი

ავსტრიაში ეუთო-ს უსაფრთხოებისა თანამშრომლობის ფორუმი გაიმართა,რომელსაცსაქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი ესწრებოდა. ფორუმის ძირითად განსახილველ საკითხებს შორის იყო ევროპაში არსებული გამოწვევები და ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის მოდერნიზაციის საჭიროება. თინათინ ხიდაშელმა საერთაშორისო ფორუმზე ყურადღება რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობასა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე გაამახვილა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ეუთო-ს გენერალურ მდივანს ლამბერტო ძანიერს შეხვდა, სადაც საქართველოსა და ეუთო-ს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი განიხილეს. საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ უსაფრთხოების მდგომარეობას. მხარეებმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და ადმინისტრაციულ საზღვრებზე არსებულ ვითარებაზეც აღნიშნეს. შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო დემილიტარიზაციის პროცესი, რომელიც საქართველოში წარმატებით ხორციელდება. პლენალურ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ხიდაშელმა ეუთოსთან თანამშრომლობასა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„ბატონი ძანიერი საქართველოს დიდი ხნის მეგობარია. ის ძალიან ხშირად ჩამოდის საქართველოში და ცდილობს, რომ ეუთო ქვეყანაში მაქსიმალურად ინსტრუმენტული იყოს, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთმა მისიები დაბლოკა. ბუნებრივია, რომ კიდევ უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო ამ ფორუმში, რომ მივაღწიოთ ამ ორგანიზაციის დაბრუნებას. ეს არ არის ადვილი, თუმცა, ვფიქრობ, რომ უმნიშვნელოვანესია, როდესაც პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის - ეუთო-ს, ნატო-ს, ევროსაბჭოს ხელმძღვანელი თანაბრად, ცალსახად, ცდილობს, რომ დაეხმაროს საქართველოს ამ ძალიან მძიმე პერიოდში," - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

თინათინ ხიდაშელის თქმით, მსგავსი ფორმატის შეხვედრები ხელს შუეწყობს აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და დისკუსიას უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ. აღნიშნული საკითხები საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ამ ეტაპზე ცალსახად მნიშვნელოვანია. "განვიხილეთ საქართველოსა და ეუთოს შორის არსებული თანამშრომლობის საკითხებისა და თავდაცვის სამინისტროს მიმდინარე პროექტების გარდა, თემების უფრო ფართო სპექტრიც განვიხილეთ - რეგიონში და ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. ეუთოს სამდივნოში სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც სისტემატურად განიხილავს საქართველოსთან დაკავშირებულ თემებს და - ეს ორგანიზაციის დღის წესრიგში მნიშვნელოვან საკითხად რჩება", - განაცხადა ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა. თავდაცვის მინისტრი ფორუმის საგანგებო პლენარულ სხდომაზე რუსეთის ფედერაციის ელჩის გამოსვლასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ რუსეთის წარმომადგენელს დარბაზში მხარდაჭერა, პრაქტიკულად, არ აღმოაჩნდა.

„არანაირი მოულოდნელობა არ ყოფილა რუსეთის ფედერაციის ელჩის გამოსვლა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ასეთი ფორუმები. ეს არ არის კონფლიქტების მოგვარება, ეს არ უზრუნველყოფს ავტომატურად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მაგრამ ის საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც საქართველოს აქვს, არის ერთადერთი გარანტი, რომ ჩვენს ქვეყანას უკეთესი მომავალი აქვს და ამ უკეთესი მომავლისკენ ჩვენ სწორედ ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად მივდივართ," - განაცხადა ხიდაშელმა.

გასული საუკუნის მიწურულს, მას შემდეგ, რაც რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შედეგად შეწყდა საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ეუთო მუდმივად ცდილობს გადაწყვიტოს საქართველოში არსებული კონფლიქტები. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ რუსეთმა ვეტო დაადო ეუთო-ს მისიის საქმიანობას ოკუპირებული რეგიონების ტერიტორიაზე, ჩნდება იმის აუცილებლობა, რომ ორგანიზაცია უფრო აქტიური ქმედებებით ჩაერთოს მდგომარეობის დარეგულირების პროცესში. ამის აშკარა დასტური იყო თინათინ ხიდაშელის შეხვედრაც ლამბერტო ძანიერთან, სადაც მთავარი აქცენტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობაზე გაკეთდა.

ეუთო-სთვის კონფლიქტების დარეგულირება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ დაცულ იქნეს ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესები და სტაბილურად ფუნქციონირებდეს სამხრეთ კავკასიაზე გამავალი ენერგეტიკული დერეფანი. ეს ხელს შუეწყობს საქართველოში სტაბილურობის განმტკიცებასა და ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო პოლიტიკაში იყოს მყარი განწყობა იმისა, რომ დღეს ქვეყანის დიდი ნაწილი რუსეთის მხრიდან უკანონოდაა ოკუპირებული და აქტიურად მიმდინარეობს საზღვრების „ბორდერიზაცია".

უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში თავდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ რუსეთის მხრიდან ეუთო-ს მისიის დაბლოკვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტების მოგვარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს. საერთაშორისო ორგანიზაცია მშვიდობისა და თანამშრომლობის გაძლიერებლად შეიქმნა და არა კონფლიქტის რომელიმე მონაწილის მხარდასაჭერად. საერთაშორისო საზოგადოებამ მყარად უნდა დაასაბუთოს თავისი კეთილი ნება ერთიანი საქართველოს მომავალი პოლიტიკური წარმატებისაკენ. მუდმივად მსოფლიო აზრის წინააღმდეგ მოქმედება წარმოუდგენელია და ამას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გააკეთებს, მათ შორის, არც რუსეთია გამონაკლისი. ოფიციალურ კრემლს, ადრე თუ გვიან, მსოფლიო პოლიტიკური აზრის მხედველობაში მიღება მოუწევს. სწორედ ამიტომ, ქართული პრობლემებისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მომავალი მზარდი ინტერესი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

# დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩად თამარ ბერუჩაშვილი დანიშნა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ელჩს უმასპინძლა. თამარ ბერუჩაშვილი დიპლომატიურ სამსახურს გაერთიანებულ სამეფოში 1 მარტიდან შეუდგება.

შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემა საქართველოსა და დიდი ბრიტანეთს შორის თავდაცვის სფეროში არსებული თანამშრომლობა და სხვადასხვა მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავება იყო. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამხედრო განათლების კუთხით დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობაზე. მინისტრმა ელჩთან საქართველოს ევრო - ატლანტიკურ სტრუქტურებში დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერაზეც ისაუბრა.

„საკმაოდ დიდი პაკეტი გვაქვს დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობებში. ჩვენ სამხედროებს შესაძლობა აქვთ დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სკოლებში მიიღონ განათლება. ვთანამშრომლობთ ნატო-საქართველოს ერთობლივ პაკეტში. ორმხრივ ურთიერთობებში კი 2016 წლის სამოქმედო გეგმა ორი კვირის წინ დამტკიცდა," – აღნიშნა თინათინ ხიდაშელმა.

შეხვედრაზე განხილული თემები თამარ ბერუჩაშვილმა შეაჯამა: „ბრიტანეთი - საქართველოს ურთიერთობები თავდაცვის სფეროში განსაკუთრებული დინამიზმით ხასიათდება. ბრიტანეთი საქართველოს ევრო-ატლანტიკური პროცესების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაფიო და აქტიური მხარდამჭერია. თავდაცვის მინისტრთან დღევანდელი შეხვედრა, ძირითადად, თანამშრომლობის იმ პრიორიტეტებს შეეხო, რომელიც საქართველო - ბრიტანეთის სამხედრო თანამშრომლობის დღის წესრიგში უკვე ფიგურირებს; ასევე შევეხეთ იმ სიახლეებს, რომელიც გვინდა შევიტანოთ მომავალი წლების განმავლობაში - ეს ეხება განათლების თემას, კადრების მომზადებას, მეტი ქართველი სამხერო ჩართულობას იმ ერთობლივ პროექტებში, რომელიც განხორციელდება; ასევე მაღალ და საშუალო დონეზე ვიზიტების დაგეგმვას, რომელმაც კიდევ ერთხელ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ორმხრივი პარტნიორობის განვითარებას სამხედრო სფეროში."

შეხვედრის დასასრულს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილს საპასუხისმგებლო საქმეში წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ბრიტანულ - ქართული ურთიერთობები კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას შეიძენს, როდესაც საქართველოს გაერთიანებულ სამეფოში ელჩად ასეთი მაღალი რანგის დიპლომატი ეყოლება.

# ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველო გერმანიის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს

ბიოჩბი ჩაფიძე

გასულ კვირას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ესტუმრა ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ჯანელიძემ გამართა შეხვედრები გერმანელ კოლეგა ფრენკ - ვალტერ შტაინმაიერთან და სამინისტროების წარმომადგენელ სხვა ოფიციალურ პირებთან. გერმანია ევროკავშირის უდიდესი ქვეყანაა, რომელსაც ევროპარლამენტში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს, ის ასევე ნატო-ს წონიანი წევრია და ალიანსის პოლიტიკაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გერმანია საქართველოს სრულ მხარდაჭერას უცხადებს, ოფიციალური ბერლინი ქვეყნისათვის მაპ-ის მიცემის წინააღმდეგი რჩება. გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს დასავლურ ინსტიტუციებში გაწევრიანების საკვანძო ელემენტია. გერმანიაში ვიზიტი მნიშვნელოვანია რამდენადაც ქვეყნის დასავლური ვექტორის წარმატებულობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აფასებენ გერმანელი პოლიტიკოსები საქართველოს მთავრობის პროგრესს.

მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობის ფართო სპექტრი, ხოლო განსაკუთრებული აქცენტი საქართველოს ევრო - ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე გაკეთდა. ჯანელიძემ ყურადღება გაამახვილა გერმანიის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე საქართველოს საგარეო პოლიტიკური მისწრაფებების მიღწევაში. მინისტრმა განაცხადა, რომ დისკუსია მოიცავდა პოზიტიურ ტენდენციებს, რაც ქვეყნებს შორის გაღრმავებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში შეინიშნება. შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ საქართველო წარმატებულად მიჰყვება ევროინტეგრაციის გზას. იგი ასევე შეეხო საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, რამაც ხელი შეუწყო დემოკრატიის განმტკიცებასა და ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის დასტაბილურებას. გერმანია თანახმაა, დაეხმაროს საქართველოს ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებაში. აღინიშნა, რომ გერმანელი ბიზნესმენებისა და საქმიანი წრეების დაინტერესება საქართველოში ინვესტირებით ერთ-ერთი პრიორიტეტია კულტურული და საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავებასთან ერთად.

ოფიციალური ვიზიტი ასევე მოიცავდა ჯანელიძის შეხვედრებს ბუნდესტაგის წარმომადგენლებთან. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის ტომას ფაისტის განცხადებით, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი წარმატებულია მართლმსაჯულების სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმიდან და ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობიდან გამომდინარე. ფეისტის თქმით, ქვეყნებმა უნდა გააფართოვონ ორმხრივი თანამშრომლობა, რათა საქართველოს გაწევრიანება დასავლურ ორგანიზაციებში რეალობა გახდეს. ბუნდესტაგის დელეგაციის ხელმძღვანელის, აქსელ ფიშერის თქმით, საქართველოს მხარდაჭერა ევროკავშირში გასაერთიანებლად გერმანიის ინტერესებში შედის. გერმანიას სურს მიაღწიოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან. გარდა ამისა, ჯანელიძემ შეხვედრა გამართა გავლენიან გერმანულ კვლევით ცენტრში „საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების გერმანულ ინსტიტუტში". საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა საქართველოს გამოწვევებზე, ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაზე, ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასა და რეგიონულ თანამშრომლობაზე. ერთ-ერთი განსახილველი თემა იყო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რამაც უკვე შედეგად გაზრდილი სავაჭრო ბრუნვა მოიტანა წარმოდგენილ საერთაშორისო აქტორებს შორის. მინისტრმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ საქართველო საკონტინენტთაშორისო სატვირთო გადაზიდვების კვანძია და უჭირავს ისეთი გეოსტრატეგიული მდგომარეობა, რომლითაც ევროკავშირისა და აზიის ქვეყნებს შეუძლიათ ისარგებლონ. შეხვედრა ასევე მოიცავდა მოახლოვებული ვარშავის სამიტის მოლოდინებს. ბუნდესტაგის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გერმანია ძალიან დადებითად აფასებს საქართველოს მონდომებას, გადაიღოს ევროკავშირის სტანდარტები და გააგრძელებს ქვეყნის მხარდაჭერას.

ცხადია, რომ გერმანია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია და ეს ვიზიტიც ურთიერთანამშრომლობის გაღვივებას ისახავდა მიზნად, თუმცა შეიტანს ის რაიმე წვლილს იმ საკითხის მოგვარებაში, რაც ყველაზე არსებითია გერმანიასთან ურთიერთობისას? კეთილგანწყობილი განცხადებების მიუხედავად, გერმანია მაინც არ უჭერს მხარს საქართველოსათვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის შეთავაზებას. გერმანიის პოზიცია კი სხვა წევრი ქვეყნებისათვისაც მნიშვნელოვანი გარემოებაა, რაც საქართველოს ნატოში ინტეგრაციაზე ახდენს გავლენას. მიუხედავად ამისა, გერმანია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისადმი ღია მხარდაჭერას გამოხატავს.

როგორც ჩანს, გერმანია საქართველოსთვის მაპ-ის შეთავაზებას იმიტომ ეწინააღმდეგება, რომ გერმანული პოლიტიკურ ელიტას კარგად ესმის რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში და ამასთან ბერლინი რუსეთთან თანამშრომლობითაა ცნობილი. შესაბამისად, გერმანია ფრთხილობს სანამ რეგიონის გეოპოლიტიკური კლიმატი არ შეიცვლება. კიდევ ერთი გარემოებაა, რომ რუსეთის სახელმწიფო ენერგო კომპანია „გაზპრომი" გერმანიას „ჩრდილოეთის ნაკადის" მილსადენის მეშვეობით ბუნებრივი აირით ამარაგებს, რის გამოც ოფიციალური ბერლინი კრემლთან სახიფათო თამაშს თავს არიდებს. ამ მიზეზებიდან გამომდინარე საკითხს შეიძლება „რუსული ვეტო" ვუწოდოთ, მაგრამ გერმანიის უარის უკან, სავარაუდოდ, უფრო რეალური მიზეზები დგას, როგორიცაა საქართველოს გაყინული კონფლიქტები და ტექნიკური და პოლიტიკური მზადყოფნის არარსებობა. ქართული სახელმწიფოებრიობის პირველ საფეხურზე 1990-იან წლებში, როდესაც ქვეყანამ ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა გერმანიამ ერთ-ერთმა პირველმა სცნო საქართველოს სუვერენიტეტი და აგრეთვე დაეხმარა მას დასავლური მონეტარული ორგანიზაციების დოტაციების მიღებაში. ეს დამხარება ნათელს ხდის, თუ როგორი გავლენა აქვს პერსონალურ ფაქტორს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. საქართველოს პირველი პრეზიდენტი შევარდნაძე გერმანიის გაერთიანებაში წვლილის შემტანად მიიჩნევა, როდესაც ის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, შესაბამისად, გერმანია უფრო მეტ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს. ბოლო წლებში ქვეყნის მთავრობასა და საგარეო უწყებას ხშირად აკრიტიკებენ ბერლინში გავლენიანი ელჩის არყოლის გამო, რომელიც გერმანიაში საქართველოს ნატოში ინტეგრაციისადმი მეტად პოზიტიური განწყობის დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს.

გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, სხვა პატარა თუ დიდი სახელმწიფოების მსგავსად, რაც გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენს, თუმცა საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებს უფრო დადებითად განაწყოს გერმანელი პოლიტიკოსები საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მიმართ. აშკარაა, რომ საქართველოს მთავრობამ მეტად აქტიურად უნდა იმუშაოს ბერლინის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. სანამ გერმანია საქართველოს ნატოსაკენ მიმავალ გზაზე მწვანე შუქს არ აანთებს, ალიანსის წევრობა ფუტურისტულ იმედად რჩება.

# გამოსამშვიდობებელი შეხვედრა საფრანგეთის ელჩთან

საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, რენო სალინსის საქმიანობის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით გამოსამშვიდობებელ მიღება გაიმართა. საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ხაზი გაუსვა საქართველოს დიდ წარმატებას იმ რეფორმების განხორციელების კუთხით, რომლებსაც იგი ბოლო წლების განმავლობაში ახორციელებს. რენო სალინსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საფრანგეთის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა დავით დონდუამ ელჩს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

„ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს ოთხი წელი ქართულ - ფრანგულ ურთიერთობებში. განსაკუთრებით ინტენსიური იყო ბოლო ერთი წელი. შეუძლებელია, ასეთი შედეგები ელჩის აქტიური ქმედითი თანამონაწილეობის გარეშე დადგეს. პირველად მივიღეთ საფრანგეთის ლიდერობა ნატო - საქართველოს პაკეტის კომპონენტში. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ისეთი დიდი ევროპული ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია, ამერიკელებთან ერთად ხდება ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა ჩვენი ნატოსთან ურთიერთობის წარმატებისთვის", - განაცხადა თინათინ ხიდაშელმა. მიღება კავკასიის ფრანგულ სკოლაში გაიმართა. გამოსამშვიდობებელ მიღებას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. რენო სალინსი საქართველოში 2012 წლიდან მოღვაწეობს.

# რუსეთის მოსახლეობაში დასავლეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაიზარდა

ბუსამ ფსქიანიძე

რუსეთის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად რუსების 81% ემხრობა აზრს, რომ მათ შეიარაღებულ ძალებს ნებისმიერი გარე საფრთხისგან თავის დაცვა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს იმავე კითხვაზე პასუხად 60%-მა მიიჩნია, რომ რუსეთის ძალების დამარცხება შეუძლებელია, ახლა კი ეს რიცხვი 21%-ით არის გაზრდილი 81%-ის აზრის საპირისპიროდ ფიქრობს გამოკითხულთა 11%, რომელიც თვლის, რომ ქვეყნის სამხედრო ძალა არაა ყველა საფრთხისგან დაცვის გარანტორი. 8%-ს კი მიაჩნია, რომ კითხვაზე პასუხის გაცემა მათთვის ზედმეტად რთულია. ამას გარდა, რესპონდენტთა 65% ფიქრობს, რომ რუსეთში სხვა ქვეყნის შეჭრა რეალურია (წინა გამოკითხვის დროს ასე 56% მიიჩნევდა), 28% კი ასეთ რამეს გამორიცხავს, 7%-მა კითხვაზე პასუხის გაცემას თავი აარიდა. რესპონდენტთა 40%-მა პროცენტმა დააფიქსირა აზრი, რომ მისმა ქვეყანამ სამხედრო ძლიერება უნდა გაზარდოს, 42% კი ამის საჭიროებას ვერ ხედავს.

სამხედრო თემის გარდა, გამოკითხვა მოიცავდა რუსეთის მოსახლეობის დამოკიდებულებას საგარეო აქტორების მიმართ. წინა გამოკითხვის შედეგთან შედარებით (44%), მოცემულ გამოკითხვაში 81%-მა გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება აშშ-ის მიმართ. რუსების 71%-ს კი ასევე ნეგატიური დამოკიდებულება გაჩნია ევროკავშირის მიმართ (გასულ წელს - 34%). რესპონდენტთა 75%-მა განაცხადა, რომ რუსეთმა დასავლეთთან ურთიერთობები უნდა გააუმჯობესოს, 70%-ს ჰგონია, რომ საჭიროა დამატებითი მცდელობები უკრაინასთან ურთიერთობების დასალაგებლად. 51% აცხადებს, რომ ნატო-ს რუსეთის არ უნდა ეშინოდეს, 39% კი მიიჩნევს, რომ ასეთი შიში გამართლებულია. ამავდროულად 65%-ს მიაჩნია, რომ რუსეთმა უნდა გააგრძელოს საკუთარი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა დასავლეთთან ურთიერთობის გამოსწორებაზე მიუთითებს, მხოლოდ 26%-მა აღნიშნა, რომ რუსეთი გარკვეულ კომპრომისებზე უნდა წავიდეს ორმხრივი სანქციების მოსახსნელად. 58%-მა თქვა, რომ ისინი არ ელიან რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას უახლოეს მომავალში. როგორც ჩანს, რუსეთის მოსახლეობის აზრი ბოლო წლებში შეიცვალა. გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვს დასავლეთის მიმართ, ასევე უფრო მეტ ადამიანს მიაჩნია, რომ რუსულ სამხედრო ძალას ნებისმიერი საფრთხისგან დაცვა შეუძლია. გამოკითხვის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ რუსები საკუთარ ძალებში დარწმუნებულები არიან. წინა გამოკითხვასთან შედარებით უფრო მეტმა მოქალაქემ დააფიქსირა ის აზრი, რომ გარე საფრთხე გაზრდილია და ურთიერთობა დასავლეთთან უფრო დაძაბულია.

მაინც რატომ ჰგონია გამოკითხულთა 81%-ს რუსული სამხედრო ძალა უძლეველი, რატომ გაიზარდა, მათი აზრით, საგარეო საფრთხე ან რამ გამოიწვია გაზრდილი უარყოფითი დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ? უკრაინის მოვლენებმა აშკარად დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობებზე და რუსების დამოკიდებულებაზე დასავლეთის მიმართ. სწორედ ბოლო ორსამ წელში განვითარებულმა მოვლენებმა განსაზღვრა რუსეთის მოსახლეობის ამგვარი მოსაზრებები რუსეთის სამხედრო ძლიერებაზე. მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია მოახდინა, შემდეგ კი ეხმარებოდა აღმოსავლეთ უკრაინის სეპარატისტულ ძალებს უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობაში იმხელა ბზარი გაჩნდა, რომ მისი გამოსწორება დღემდე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ევროპა უძლური აღმოჩნდა რუსული აგრესიის წინააღმდეგ უკრაინაში და გამოსავლად მასზე ეკონომიკური სანქციების დაწესება მიიჩნია, რაც დღემდე მოქმედებს. რუსეთის მოსახლეობის თვალთახედვიდან რომ ვიმსჯელოთ, ქვეყანამ დიდი ძალისხმევისა და წინააღმდეგობის გარეშე მოახერხა ყირიმის უკრაინის ხელისუფლებისგან მოწყვეტა, დასავლეთის პასუხი - ეკონომიკური სანქციები - მათ აღიქვეს, როგორც უსუსური ნაბიჯი (სამხედრო გზით ვერაფერს დაგვაკლებდნენ და ასე უწდათ ჩვენი დასჯა!) და უუნარობა, რაც რუსეთის უკან დასახევად იყო გამიზნული. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ რუსეთის მოსახლეობაში გააჩინა რწმენა, რომ დასავლეთს რუსეთის ეშინია და „შემოვლითი“ გზებით ცდილობს მიზნის მიღწევას, რადგან სამხედრო გზით არაფერი გამოუვათ.

ეკონომიკურმა სანქციებმა, რომელმაც პირდაპირი გავლენა იქონია რუსეთის მოსახლეობის ყოფაზე, კიდევ უფრო გაამწვავა დასავლეთის მიმართ უკმაყოფილება. უკრაინის მიმართ რუსეთის წარმატებული პოლიტიკის შედეგად საზოგადოებაში ჩამოყალიბდა/გაძლიერდა აზრი, რომ რუსეთს შეუძლია, გააკეთოს ის, რასაც მოისურვებს და ამაში დასავლეთი (განსაკუთრებით აშშ) ხელს ვერ შეუშლის, მისი სამხედრო ძლიერების მიუხედავად.

უკრაინის მოვლენების გარდა დასავლეთსა და რუსეთს შორის არაერთი განხეთქილების ვაშლი არსებობს. ის ფაქტი, რომ დასავლეთი ვერ ახერხებს, აიძულოს რუსეთი, გადახედოს მის საგარეო პოლიტიკას, რუსებში ბადებს აზრს, რომ მათი ქვეყანა დასავლურ ქვეყნებზე ბევრად ძლიერია. ისიც აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ბოლო ორ დეკადაში რუსების დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ უმეტესწილად უარყოფითი იყო. თუმცა, როგორც აღინიშნა, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრა რუსების ნეგატიური და აგრესიული ხედვა. რუსეთის წინააღმდეგ ღიად წასვლის შედეგად დასავლეთი და დასავლური ინსტიტუტები რუსეთის მოსახლეობაში აღიქმება, როგორც მათი ქვეყნის მტერი. ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის მოსახლეობა აღიქვამს მცდელობად, დაასუსტონ მისი ქვეყანა და ხელი შეუწყონ მის დეგრადაციას.

მოსახლეობის აზრის ჩამოყალიბებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ კრემლის მედია პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც აქტიურად მუშაობს, რომ მოსახლეობას ის მესიჯები მიაწოდონ, რაც მათ აძლევს ხელს. გამომდინარე იქიდან, რომ მედია საშუალებები დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოების აზრის ფორმირებაზე, დასავლეთის მუდმივად უარყოფით კონტექსტში გაშუქებით და ფაქტების დამახინჯებით, მოსახლეობა რეალურ სურათს ვერ აღიქვამს. მედია პროპაგანდის მეშვეობით კრემლი არწმუნებს საკუთარ მოსახლეობას, რომ ის სწორად მოიქცა უკრაინის მოვლენებში, დასავლეთი უსამართლოდ ექცევა მას სანქციების შემოღებით და რომ დასავლური ორგანიზაციები რუსეთის დასუსტებისკენ მიისწრაფვიან. ცხადია, რეალობა კრემლის მიერ კონტროლირებადი მედიის რეალობისგან.

რუსეთის სამხედრო ძალა არც ისე ყოვლისშემძლეა, როგორც ეს მოსახლეობას წარმოუდგენია. მას ბევრი სუსტი მხარე აქვს და არც ისეთი ტექნოლოგიური აღჭურვილობით სარგებლობს, როგორიც დასავლეთის სუპერსახელმწიფოებს გააჩნიათ. რუსეთის მოსახლეობა რეალურად საერთოდ არ ითვალისწინებს, რამდენად სჯობს ქვეყნის სამხედრო მომზადების დონე სხვა ქვეყნებისას. ისინი სიტუაციას დიდწილად იმის გათვალისწინებით აფასებენ, როგორ აწვდის მათ ტელევიზია თუ კრემლი. მოცემული გამოკითხვების შედეგად ჩამოყალიბებული აზრი შეიძლება უახლოეს მომავალში კვლავ შეიცვალოს და უარყოფითი დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ კიდევ უფრო გამძაფრდეს. მიმდინარე მოვლენები პირდაპირ გავლენას მოახდენს მოსახლეობის ახალი აღქმების ჩამოყალიბებაზე. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რუსეთის მოსახლეობის მომდევნო გამოკითხვები თითქმის არ შეიცვლება.

# საქართველოში ესტონეთის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

ესტონეთის საელჩომ თბილისში ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა. 24 თებერვალს გამართულ საზეიმო მიღებას 300-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, დიპლომატები, ბიზნესმენები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გიორგი კვირიკაშვილმა, რომელიც ასევე იმყოფებოდა ღონისძიებაზე, ესტონელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის ესტონეთს მადლობა გადაუხადა. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს ესტონეთთან აკავშირებს მეგობრობა, მჭიდრო თანამშრომლობა და საერთო ხედვა მომავალთან დაკავშირებით.

„ქართველებისთვის ესტონეთი არა მხოლოდ მეგობარი, არამედ მისაბაძი მაგალითია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, სექტორული და პარტნიორული პროექტები წარმოადგენენ მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალებს საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური მომავლისკენ მიმავალ გზაზე," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა საზეიმო მიღებაზე. ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა სიტყვით გამოსვლისას ესტონეთის ელჩმა პრიიტ ტურკმა. მან მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და საქართველოსა და ესტონეთის თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

# შენგენი ჯოლაფსის წინაშე: რა ელის საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციას?

ნატა ბინაძე

მიგრაციის კრიზისის საფუძველზე სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების ინიციატივას ბელგიაც შეუერთდა. 23 თებერვალს, ბელგია-საფრანგეთის საზღვარზე 300 ბელგიელი პოლიციელი გამოჩნდა და სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, საზღვის დამცველები გაურკვეველი ვადით იქ დარჩებიან იმისთვის, რომ ქვეყანა ახალი საიმიგრაციო ტალღისგან დაიცვან. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, 2015 წელს თავშესაფრის მისაღებად ევროპაში მილიონზე მეტი ადამიანი ჩავიდა. როგორც ცნობილია, ასეთი მასშტაბის მიგრაციული კრიზისი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არ ყოფილა. დანიშნულების ადგილამდე მიგრანტები ორი ძირითადი გზით აღწევენ: ხმელთაშუა ზღვიდან და საბერძნეთ - თურქეთის საზღვრიდან.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ ლტოლვილთა ნაკადის შეჩერება მხოლოდ სირიაში არსებული ვითარების კარდინალურ შეცვლას შეუძლია. ორგანიზაცია პროგნოზირებს, რომ 2016 წელს ევროპაში კიდევ ერთი მილიონი ლტოლვილი ჩავა.

აღნიშნულ საკითხს საქართველოშიც გამოეხმაურნენ, მით უფრო იმ ფონზე, როცა ქვეყანა ევროპასთან უვიზო მიმოსვლას ზაფხულიდან ელოდება. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი ბაკურ კვაშალავა ამბობს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ევროკავშირში ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული არ არის. თუმცა ახლანდელი კრიზისი განსხვავებულია იმ ნიშნით, რომ იგი პირდაპირ შეეხო ევროკავშირის მოსახლეობას. ამიტომ, მთავრობისთვის ძნელია ამ საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ პოლიტიკურ სფეროში დატოვება.

,,იზრდება ტენდეციები და განწყობები იმის თაობაზე, რომ მიზანშეწონილია თუ არა ევროკავშირში დარჩენა, ამის ნათელი მაგალითია ბრიტანეთის რეფერენდუმი. ეს ქმნის იმის საფრთხეს, რომ ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკა, იგივე შენგენის ზონასთან დაკავშირებით, დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ბუნებრივია, რომ ეს ევროკავშირისთვის ძალიან მძიმე გამოწვევაა“, - აღნიშნავს კვაშალავა.

„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის” პრეზიდენტის, სოსო ცისკარიშვილის თქმით, ქვეყნები, რომლებიც შენგენის ზონაში საკუთარ წევრობას შეაჩერებენ და ხელშეკრულებას განერიდებიან, ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნებიან ჩვენი ქვეყნისთვის.

,,ფაქტია, რომ დღევანდელი ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც შენგენის ზონის ქვეყნებს მიეკუთვნებიან, მხოლოდ თავად ვერ გადაწყვეტენ ამ პრობლემას, რადგან პრობლემას ქმნის არა ევროკავშირის რომელიმე წევრი, არამედ უპირველეს ყოვლისა, ისლამური სახელმწიფო, ისევე როგორც ტერორისტული დაჯგუფებები.

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მათ ისარგებლეს შემთხვეით და იმ უამრავ ადამიანთა ნაკადში, რომელთაც ევროპაში შეაღწიეს, საკუთარი აქტივისტებიც შეაგზავნეს. შფოთი ევროპული საზოგადოებისგან სრულიად სამართლიანია“, - აღნიშნა ცისკარიშვილმა „ობზერვერთან“ საუბარში.

ცისკარიშვილი ინიციატივით გამოდის და აცხადებს, რომ გამოსავალი რეგიონის ქვეყნების ერთიანობაშია. მისი აზრით უნდა იყოს ერთიანი ლტოლვა სიტუაციის დასამშვიდებლად. „უპრიანი იქნებოდა, თუ თურქეთისა და საბერძნეთს ერთობლივი ინიციატივით შეიქმნებოდა გარკვეული ფორმატი შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მონაწილეობით, სადაც ასეთ აქტუალურ თემებს განიხილავდნენ. ეს იქნებოდა დამაჯერებელი ნაბიჯი უფრო მშვიდი მომავლისათვის. არ მგონია, რომ დიდ სიძნელეს წამოადგენდეს საქართველოს, უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთის წარმომადგენელთა ურთიერთობა ამ ფორმატში“, - აცხადებს ,,დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის” პრეზიდენტი.

უცხოური მედია, *REUTERS*-ი *Bertelsmann Foundation*-ის მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით იუწყება, რომ ევროკავშირს შენგენის ზონის დაშლა შესაძლოა, ათი წლის განმავლობაში 1,4 ტრილიონი ევრო დაუჯდეს. კვლევის მიხედვით, ევროკავშირის საზღვრების კონტროლი იმპორტის ფასებს სამი პროცენტით გაზრდის, რაც 2016 -დან 2025 წლის ჩათვლით გერმანიას 235, ხოლო საფრანგეთს 244 მილიარდი ევრო დაუჯდება. აღნიშნული გარემოება ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზეც უარყოფითად აისახება.

ევროკავშირში საქართველოს ელჩი, ნატალი საბანაძე არ გამორიცხავს, რომ ევროპაში მიგრაციის კრიზისმა საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის პროცესზეც უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ,,უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიგრაციის კრიზისმა რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ევროკავშირი. ამ ფონზე საკმაოდ რთულია ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ შეიძლება, იყოს რაღაც ფაქტორები, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებელია და რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს, მაგრამ, მე ვარ ოპტიმისტურად განწყობილი”, - აღნიშნა საბანაძემ.

საქართველოს პრემიერ - მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ ევროკომისიის სრული შემადგენლობა ვიზა ლიბერალიზაციის პროცესს მხარს უჭერს, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა მიგრაციის კრიზის გამო გარკვეულ შეშფოთებებს გამოხატავს. აღნიშნულ საკითხზე კვირიკაშვილმა ჩეხეთში ოფიციალურ ვიზიტებზე ყოფნისას უცხოელი კოლეგებთან ისაუბრა.

„არის შეშფოთებები მიგრანტების კრიზისთან დაკავშირებით საფარნგეთში, ჰოლანდიასა და გერმანიაში. საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები უცხოელ კოლეგებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, რათა მაქსიმალურად გავფანტოთ ეს ეჭვები და გავაგებინოთ, რომ საქართველოს ვიზა ლიბერალიზაცია არ არის კავშირში მიგრაციის კრიზისთან”, - აღნიშნავს კვირიკაშვილი.

საქართველოს უკვე აქვს ევროკომისიის რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანამ დაკისრებული ვალდებეულებები პირნათლად შეასრულა, თუმცა შემდეგი ეტაპი პოლიტიკური ხასიათისაა და გადაწყვეტილება, ლიბერალიზაციის პროცესის შესახებ, ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ ერთად უნდა მიიღონ. ამისთვის კი 28 წევრი ქვეყნის თანხმობაა საჭირო. ევროპაში მიგრაციის კრიზისი კიდევ უფრო ზრდის იმის საშიშროებას, რომ რომელიმე ქვეყანამ ვეტოს უფლება გამოიყენოს. შედეგად კი, საქართველოსთვის თავისუფალი უვიზო მიმოვლის ამოქმედება კვლავ გადაიდება.

მიუხედავად ამისა, ყოფილი ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, შტეფან ფულე მიიჩნევს, რომ საქართველოს პროგრესი ვიზა ლიბერალიზაციის კუთხით დამოკიდებული იქნება ქვეყნის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საშინაო დავალების შესრულებაზე. ,,მიგრაციის კრიზისი არის დიდი გამოწვევა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, მიგრაციის კრიზისი არ იქონიებს გავლენას იმ შესანიშნავ სამუშაოზე, რომელიც საქართველომ გასწია და ქვეყნის მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზოდ იმოგზაურებენ”, - განაცხადა ფულემ.

აღნიშნულ პოზიციას იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების ექსპერტი, თორნიკე შარაშენიძეც. მისი თქმით, საქართველოს ვიზალიბერალიზაციას სერიოზული საფრთხე იმ შემთხვევაში შეექმნება თუ მთავრობა ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებს გადადგამს. „ყველაზე მეტი საფრთხე ვიზალიბერალიზაციის პროცესში შეიქმნება მაშინ, თუ მთავრობა დაარღვევს დემოკრატიის პრინციპებს. ამ შემთხვევაში ძალიან დიდხანს ვერ ვეღირსებით ვიზა ლიბერალიზაციას”, - ამბობს შარაშენიძე.

საქართველოს განვითარების ფონდის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი, გიორგი რუხაძე „ობზერვერთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭება პოლიტიკურად არაპოპულარული თემა ხდება. მეორე მხრივ, საქართველომ წარმატებით შეასრულა ევროკომისიის ყველა მოთხოვნა და ტექნიკური თვალსაზრისით ქვეყანა იმსახურებს უვიზო მიმოსვლას შენგენის ზონასთან.

„მიიღებს თუ არა საქართველო უვიზო მომოსვლას ზაფხულში, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს საქართველოს ხელისუფლება დაარწმუნოს ევროპარლამენტართა უმრავლესობა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება დროულად მიიღონ. გარდა ამისა, საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა ისეთი სახე არ უნდა მიიღოს, რაც ევროპელ კანონმდებლებს აფიქრებინებს, რომ საქართველომ ევროპულ გზას გადაუხვია“, - განაცხადა რუხაძემ.

დაბოლოს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციასკენ სწრაფვას და, შესაბამისად, თავისუფალი უვიზო რეჟიმის ამოქმედებას არა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ გარეშე ფაქტორებიც განსაზღვრავენ.

როგორ წარმატებასაც უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ ევროპული რეკომენდაციებით, მუშაობით, სახელმწიფო სტრუქტურების დახვეწვითა და დემოკრატიის განვითარებით, მიგრაციის კრიზისი მაინც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში მიმდინარე და მომავალ პროცესებზე გავლენა იქონიოს. მნიშვნელოვანია, რომ გატარდეს სწორი პოლიტიკა და საქართველო მომზადებული შეხვდეს მიგრანტების ნაკადის შემოდინებას.

# ხეიძო თუ სახელმწიფო საკუთრება: ფიქსიები მიწების იებისტრაციის საკითხზე მსჯელობენ

პარლამენტში კვლავ აქტიურად განიხილება სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციის კანონპროექტი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივა რომლის განხილვაც დაწყებულია მთავრობის წევრებმა წარმოადგინეს და ითვალისწინებს შემდეგს - თუ პიროვნებას მიწაზე მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს, ასეთი მიწები სახელმწიფო საკუთრებაში მოექცევა. თუმცა ხარვეზების გამო, გადაწყდა, რომ მოხდეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის დამუშავება. ამავე დროს საკითხის გადაწყვეტაზე მსჯელობენ ოპოზიციური პარტიებიც. ფრაქციები თანხმდებიან, რომ ამ კუთხით რეალობა ერთობ რთულია და დროულადაა გამოსასწორებელი.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებით, ისინი უახლოეს დღეებში ალტერნატიულ კანონპროექტს შეიტანენ.

„მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით დადგა საშიშროება, რომ გლეხმა მიწა დაკარგოს. კახეთის მაგალითზე გეტყვით, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია. შესაძლოა ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი გლეხი, საერთოდ ულუკმაპუროდ დარჩეს“, - აცხადებენ პარტიაში.

რაც შეეხება პოლიტიკურ ცენტრ „გირჩის“ ინიციატივას, მისი განხილვა 26 თებერვალს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე მოეწყო, თუმცა პარლამენტარებმა ესეც დაიწუნეს.

ზურაბ ჯაფარიძემ კოლეგებს კანონპროექტის ზოგადი პრინციპები გააცნო და განაცხადა, რომ თუ სახელმწიფოს სურს რაც შეიძლება სწრაფად და შედარებით უმტკივნეულოდ მოაგვაროს სასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დაკანონებასთან დაკავშირებული პრობლემები, დღესვე უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები და შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. მას ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება მიაჩნია, რომლის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი მიწის ნაკვეთის მფლობელობის ფაქტი უნდა იყოს. მარეგისტრირებელ ორგანოს მიწის ნაკვეთის მფლობელობას მფლობელი განცხადებით უდასტურებს.

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული კანონპროექტის თანახმად მფლობელობის საფუძველზე საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე არ რეგისტრირდება, თუ წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც მფლობელის სასარგებლოდ საკუთრების უფლების რეგისტრაციას გამორიცხავს და ა.შ. მომხენებელმა დეტალურად განმარტა რეგისტრაციის პროცედურები ყველა ის საკითხი, რამაც შეიძლება თავი იჩინოს მიწების რეგისტრაციის პროცესში.

„პროცესი არის თავიდან ბოლომდე საჯარო და თუ ვინმეს, მათ შორის სახელმწიფოს ექნება პრეტენზია, მიწა არ დარეგისტრირდება და საქმე განსახილველად გადავა სასამართლოში“, - განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა, საკითხი მართლაც ერთობ რთული, კომპლექსური და სენსიტიურია და იგი სამართლებრივ მოწესრიგებას ნამდვილად საჭიროებს. მთავრობის მიერაცაა ინიცირებული კანონპროექტი, რომლის დახვეწაც ხდება. საკითხის გადაწყვეტა ახალ მიდგომებს ითხოვს და ამ მიმართულებით მუშაობენ კიდეც.

კომიტეტი წარმოდგენილ კანონპროექტს, ძირითადად, ადამიანის უფლებათა ჭრილში იხილავს და დასკვნასაც ამ კუთხით წარადგენს. კერძოდ, როგორიცაა უფლებრივი საკითხები, ის, თუ რამდენადაა დაცული როგორც მფლობელის, ასევე მესაკუთრის სამართლებრივი უფლებები, რამდენად გონივრული ვადებია დადგენილი მოდავე მხარეებს შორის დავის გადასაწყვეტად და ა.შ. სხდომაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები აისახება კომიტეტის დასკვნაში, რომელიც წარედგინება წამყვან კომიტეტს.

# „AMNESTY ITERNATIONAL“ საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საუბრობს

ირაკლი ფავლენიშვილი

ორგანიზაცია „Amnesty Iternational“-ი მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით 24 თებერვალს ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა. 160 ქვეყნის შესახებ 408-გვერდიან დოკუმენტში, საქართველოს- მიმოხილვა იწყება "რუსთავი 2"-ის საქმეზე და გრძელდება სასამართლოზე პოლიტიკურ ზეწოლასა და შერჩევით სამართალზე საუბრით. ნახსენებია ლარის 26%-იანი დევალვაციაც, რამაც არაერთი ოჯახი დააზარალა; საუბარია ცხინვალის რეგიონის "ბორდერიზაციაზე", ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების პრობლემებზე. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გიგი უგულავასთვის წინასწარი პატიმრობის უკანონოდ გახანგრძლივებასა და ხელახალ დაკავებაზე; ასევე, 2013 წლის 17 მაისის ლგბტ პირთა აქციის დარბევაში ეჭვმიტანილთა საქმის გამოძიებაზე და 2015 წლის 15 მარტს "ნაციონალური მოძრაობის" ოფისების დარბევის ფაქტებზე.

მოხსენიებულ პრობლემათაგან თითიოეული მათგანი დეტალურად არის განხილული. ყურადღება ფაქტობრივად ყველა იმ საკითხზეა გამახვილებული, რაზეც ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას უწევდა ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კრიტიკული აზრის მოსმენა უწევდა.

„რუსთავი-2“-თან მიმართებით აღნიშნულია, რომ "სამართლებრივი დავა ოპოზიციურ ტელეკომპანიასთან დაკავშირებით იწვევს შეშფოთებას გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, საქმე „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი მფლობელების წინააღმდეგ ყოფილმა მფლობელმა, ხელისუფლების კარნახით წამოიწყო და ის ოპოზიციისთვის აზრის გახმოვანების მთავარი საშუალების ჩამორთმევას ისახავდა მიზნად." ანგარიშშიც ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ წარმოებული საქმე ძალიან ძვირად დაუჯდა, რადგან მან ქვეყნისა და მთავრობის საერთაშორისო იმიჯი მნიშვნელოვნად დააზიანა. საერთაშორისო საზოგადოებისთვის მთავარი ოპოზიციური არხის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის წარმოება და ამ პროცესამდე არხის მიმართ მმართველი გუნდის წევრების აგრესიული განცხადებები საკმარისი გახდა გონივრული ეჭვის გაჩენისთვის, რომ მიმდინარეობს არა რუტინული საამართლო დავა კერძო სუბიექტებს შორის, არამედ წინაასაარჩევნოდ ხდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა.

მოხსენებაში დიდი ადგილი უჭირავს სასამართლოზე პოლიტიკური ზეწოლისა და შერჩევითი სამართლის საკითხს. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ წარმოებული სამართლებრივი დავები და საეჭვოდ მიმდინარე სასამართლო პროცესები არამარტო „Amnesty Iternational“-ის, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. შერჩევითი სამართლისა და პოლიტპატიმრობის პრობლემის ნიმუშად იქცა თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას საქმე, რომელთან დაკავშირებითაც 17 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო. "მიღებული გადაწყვეტილების გამო მოსამართლეები მთავრობის ლიდერების მხრიდან მკაცრი კრიტიკის, ხოლო მთავრობის მხარდამჭერი ჯგუფების მხრიდან დაშინების მხვერპლნი გახდნენ", - წერია საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტში. ეს არ არის პირველი დოკუმენტი, სადაც საერთაშორისო საზოგადოების მიერ ყოფილი მერი პოლიტპატიმრადაა შეფასებული. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა პედრო აგრამუნტმა თავის საინაგურაციო სიტყვაში, თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მიზნად დაასახელა გიგი უგულავას, ნადია სავჩენკოს და სხვა პოლიტპატიმართა უფლებებისთვის ბრძოლა. შერჩევითი სამართალი და პოლიტპატიმრების ყოლა საქართველოს დემოკრატიული იმიჯისთვის კი სერიოზული დარტყმაა.

„Amnesty Iternational“-ის ანგარიშში მოხსენიებულია პოლიტიკური ოპონენტების დევნა-შევიწროება, რაც გაიზარდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთავრობისდროინდელი, ციხეში გაუპატიურების ამსახველი ფარული კადრების გამოქვეყნებისა და ყოფილ პრეზიდენტსა და ოპოზიციურად განწყობილ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის მმართველებს შორის კავშირის დადასტურების შემდეგ. ანგარიშიდან ნათლად ჩანს რომ ოპოზიციის წინააღმდეგ ხელისუფლება იყენებს სიძულვილის ენას, მაქსიმიალურად ცდილობს მოახდინოს ოპონენტების მარგინალიზაცია და ამ მიზნის მისაღწევად ძალადობის წახალისებასაც არ ერიდება. ხელისუფლების მიერ მსგავსი მეთოდებით ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლა ავტორიტარიზმის სიმპტომებს შეიცავს, რაც ასევე უაღრესად უარყოფითად აისახება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

დოკუმენტში განხილულია ლგბტ თემის წევრების უფლებების მდგომარეობა. "ჰომოფობიისა და ტრანსოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღემ 17 მაისს მშვიდობიანად ჩაიარა, ხელისუფლებამ უარი თქვა ღონისძიების უსაფრთხოების გარანტიებზე, ვიდრე იგი კონკრეტულ ადგილას, წინასწარი დაანონსების გარეშე არ ჩატარდა. 7 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ მამაკაცს ტრანსგენდერი ქალბატონის ძალადობაში, კიდევ ერთის მკვლელობასა და მისი სახლის დაწვაში დასდო ბრალი და მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობა თავდაცვის მიზნით იყო ჩადენილი და მას შესაბამისი სასჯელი მიუსაჯა", - ნათქვამია ანგარიშში. მსგასვი ჰომოფობიური ფონი და განწყობა საზოგადოების ნაკლებად დემოკრატიულობაზე მეტყველებს, რაც საერთაშორისო დონეზე საქართველოს ევროპულ სტანდარტებთან შეუთავსებლად წარმოაჩენს.

„Amnesty Iternational“-ის მოხსენებაში საუბარია შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზეც. "იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პოლიციამ უკანონოდ შეზღუდა ან აღკვეთა მშვიდობიანი შეკრება, მაშინ, როდესაც რამდენიმე შემთხვევაში მათ ვერ შეძლეს პოლიტიკურ ოპონენტებს შორის შეტაკებების პრევენცია. 15 მარტს "ქართული ოცნების" დაახლოებით 50 მხარდამჭერი ძალის გამოყენებით შეიჭრა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისებში - ზუგდიდში ხის ჯოხებითა და ქვებით შეიარაღებულმა ჯგუფმა ფანჯრები ჩაამსხვრია. გავრცელებული ცნობით, 9 ადამაინი დაშავდა, მათ შორის ერთი სამართალდამცველი, რომელმაც მათი შეჩერება სცადა. თუმცა, თავდამსხმელები ბევრნი იყვნენ. 12 ივნისს 15-მა აქტივისტმა სცადა თბილისში ჰეიდარ ალიევის სკვერში აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების არასათანადო დაცვის გასაპროტესტებლად შეკრება. პიკეტირებმადე, პოლიციის წარმომადგენლებმა სკვერი გადაკეტეს და აქტივისტებს მიზეზის გარეშე იქ შესვლაზე უარი უთხრეს", - წერია ანგარიშში.

ადამიანის უფლებების შესახებ „Amnesty Iternational“-ის ანგარიშს არ იზიარებენ მინისტრთა კაბინეტის წევრები. მათი თქმით, ქვეყანაში პოლიტპატიმრებისა და გამოხატვის თავისუფლების პრობლემები დღის წესრიგში არ დგას. საპარლამენტო ოპიზიცია ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრ კრიტიკას ხელისუფლების არასწორ ქმედებებს უკავშირებს. „Amnesty Iternational“-ის ყოველწლიურ ანგარიშს, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ანგარიშში ყურადღება გამახვილებული იყო იმ საკითხებზე, რაზეც სახალხო დამცველი მთელი წლის განმავლობაში აქტიურად საუბრობდა.

„Amnesty Iternational“-ის ანგარიშმა ნათლად აჩვენა რომ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით რთული მდგომარეობაა. ისეთი ფუნდამენტური ადამიანის უფლებები, როგორიცაა სიტყვის, გამოხატვის, შეკრების და თავისუფალი გადაადგილების უფლებები ასევე სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, ხშირად ხელყოფილია. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართულობა უაღრესად პოზიტიურ როლს თამაშობს ამ პრობლემების მონიტორინგისა და აღმოფხვრის საქმეში.

# მეთიუ ბრაიზა საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებს აფასებს

25 თებერვალს, 2016 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა (GFSIS) და საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ორგანიზებით გაიმართა დისკუსია "პოლიტიკის ფორმირება და პასუხები კომპლექსურ გამოწვევებზე".

მომხსენებლებს შორის იყვნენ: მეთიუ ბრაიზა, ყოფილი მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ივლიანე ხაინდრავა, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე და დავით სიხარულიძე, საქართველოს ატლანტიკური საბჭოს თავმჯდომარე. დისკუსიის მოდერატორი იყო კახა გოგოლაშვილი, GFSIS-ის ევროკავშირის კვლევების ცენტრის დირექტორი.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს წინაშე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები. მომხსენებლებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს უსაფრთხოების საკითხების მიმართ ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ჰოლისტიკურ მიდგომაზე.

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების სია უცვლელია დისკუსიის მონაწილეები ამბობენ, რომ ეს არის პუტინის რუსეთი, რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული დაპირისპირება, კიბერუსაფრთხოება და ასევე ვითარება სირიაში. მეთიუ ბრაიზამ კომენტარი გააკეთა მედიის წარმომადგენლებთანაც. როგორც ჩანს, მას ეჭვი არ ეპარება საქართველოს მოქმედი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის კურსში თუმცა ის ისურვებდა, რომ ოფიციალურ თბილისს გაეკეთებინა მეტი აქცენტი გრძელვადიან სტრატეგიაზე და სწორედ ამ სტრატეგიით ემოქმედა.

„მოქმედი მთავრობა, ისევე როგორც კოალიცია ქართული ოცნება სხვადასხვა მოსაზრებების მქონე ადამიანებისგან შედგება. მათ განსხვავებული წარმოდგენები აქვთ პოლიტიკურ მოვლენებზე. ქართულ ოცნებაში პატრიოტები არიან და მათ ქვეყნისთვის კარგი სურთ, თუმცა მოკლევადიანი ეკონომიკური ინტერესები უკანა პლანზე წევს გრძელვადიან პოლიტიკურ სტრატეგიაზე გათვლილ ხედვას, რომელმაც საქართველოში სტაბილურობა 2008 წლიდან შეინარჩუნა", - აღნიშნა ბრაიზამ.

პრეზენტაციას მოჰყვა აქტიური დისკუსია. GFSIS-ში გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ აკადემიური, კვლევითი, საექსპერტო და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები.

# მოწმეები სასამართლოს ახალ შენობაში დაიკითხებიან

თამარ უმფრიანი

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საზეიმოდ გახსნილ სასამართლოს შენობაში ამიერიდან მოწმეები ნებაყოფლობით მაგისტრი მოსამართლის წინაშე, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანდასწრებით დაიკითხებიან. კანონპროექტი, რომლის დამტკიცებაც პარლამენტმა რამდენჯერმე გადადო საბოლოოდ 20 თებერვლიდან ამოქმედდა. მოქალაქე, რომელიც გამოძიებასთან თანამშრომლობასა და ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს, ხოლო სამართალდამცავებს გააჩნიათ მტკიცებულება, რომ ის სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციას ფლობს, შესაძლოა, დაიკითხოს კანონის ახალი ნორმით. დაკითხვა დახურულ რეჟიმში ბრალდების მხარის თანდასწრებით მოხდება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნინო გვენეტაძის განცხადებით, მაგისტრი მოსამართლე გამოკითხვაში მონაწილეობას არ მიიღებს. მოწმეზე ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის მცდელობის შემთხვევაში კი, ის კანონით განსაზღვრულ ზომებს შემოიღებს.

„დაკითხვის დახურულ რეჟიმში ჩატარება მიანიშნებს გამოძიების ეტაპზე მოწმისგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას, რისი გახმაურებაც ხელს შეუშლის საქმის ეფექტურ მსვლელობას. რაც შეეხება უწყების თანამშრომლებს, სასამართლო კორპუსში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ტრენინგები, რათა მან კვალიფიცურად შეასრულონ კანონის ცვლილებით დაკისრებული მოვალეობა“, - აცხადებს ნინო გვენეტაძე.

აღნიშნული კანონპროექტი იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტს 2009 წელს წარუდგინა. საკანონმდებლო ორგანო ახალი რეგულაციების პრაქტიკაში დანერგვის გაჭიანურების მიზეზად პროექტისთვის განკუთვნილ ფინანსებისა და სასამართლო სისტემის მზაობის არ არსებობას ასახლებდა. აქამდე, გამოძიება 1998 წელს მიღებული საპროცესო ნორმების გათვალისწინებით მოქმედებდა. რომლის მიხედვითაც, დაკითხვას გამომძიებელი დაცვის მხარის დასწრების გარეშე ატარებდა. მოწმის პოლიციაში გამოუცხადებლობა კი მასზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ნიშნავდა.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ახალი წესის ხარვეზებზე საუბრობენ და ამბობენ რომ რამდენიმე წლიანი გადამზადებისა და მოლაპარაკებების შემდეგ კანონპროექტი ძალაში მაინც ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი ფორმით შევიდა. აღნიშნული ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსის მხოლოდ გარკვეულ მუხლებზე გავრცელდება. შედარებით მძიმე დანაშაული, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობა, ტერორიზმი და სხვა სახის მძიმე დანაშაული კანონში გაწერილი არაა. ადვოკატთა ასოციაციის წევრ გიორგი ფანცულაიას თქმით, ამჟამად შედარებით მსუბუქი მუხლების კანონპროექტში ჩართვა ცვლილების ინოვაციური ხასიათით შეიძლება განიმარტოს. „გარკვეული პერიოდი ახალი ნორმა „მსუბუქ“ დანაშაულზე ერთგვარად დაიტესტება და სავარაუდოდ 2017-2018 წლებიდან უკვე ხარვეზების გარეშე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა მუხლის ფარგლებში იფუნქციონირებს“, - განაცხადა ფანცულაიამ „ობზერვერთან“ საუბარში.

კანონპროექტს მოწინააღმდეგენაბარ პირობებს ქმნის დაცვისა და ბრალდების წარმომადგენლებისთვის. „მოწმის უარის შემთხვევაში დაცვის მხარეს მისგან ინფორმაციის მიღების არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ხშირად ადვოკატი გამოკითხვას პირველად სასამართლოზე ახდენს, რაც მისი წარმატების მაჩვენებელს ამცირებს. ბრალდების მხარეს კი ძველი და ახალი რეგულაციები ერთნაირად უმაგრებენ ზურგს“, - ამბობს გიორგი ფანცულაია და აღნიშნავს, რომ მიუხედავად ხარვეზებისა, კანონპროექტი პროგრესულ ხასიათს ატარებს.

მოწმეთა დაკითხვის მსგავსი წესი ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ინგლისსა და საფრანგეთში წარმატებით ფუნქციონირებს. საქართველოში განვითარებადი დემოკრატიის ფონზე მსგავსი ტენდენციის დამკვიდრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მისასალმებელია. ქვეყანაში მოარული ამბებით, რომლის თანახმადაც სამართალდამცავები ინფორმაციის მოპოვების დროს მოწმეებზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობენ, ახალი კანონპროექტი ერთგვარი ხსნა და უსაფრთხოების გარანტი იქნება. მოწმე, რომელიც ჩვენების მიცემაზე უარს ამბობს, იძულების შემთხვევაშიც კი, უზრუნველყოფილი იქნება მისი უფლებების დაცვით. მსგავსი გამოცდილების დამკვიდრება ხელს შეუწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და სასამართლო აპარატში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების დაცვას.

# ალექსი პეტრიაშვილს უცნობმა პირებმა ესროლეს

26 თებერვალს საბურთალოს რაიონში, უცნობმა პირებმა ალექსი პეტრიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ორივე ქვედა კიდური დაუზიანეს.

გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმის მომენტში ალექსი პეტრიაშვილი ყოფილი დიპლომატის - ლევან მიქელაძის საფლავზე სამ მეგობართან ერთად იმყოფებოდა. მომხდარის შესახებ შეტყობინება გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში ახლომდებარე საცხოვრე-ბელ კორპუსში მცხოვრები მო-ქალაქისგან შევიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

შემთხვევა საბურთალოს პანთეონის ძმათა სასაფლაოს ტერიტორიაზე მოხდა. შსს მიმართავს ფაქტის თვითმხილველ პირებს, დანაშაულის დროულად გამოძიების მიზნით, ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან. ალექსი პეტრიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

“ლევან მიქელაძის საფლავზე იყო ბუკა, თავისუფალი დემოკრატების გენერალური მდივანი და მოხდა თავდასხმა მასზე. აქვს სამი ტყვია მოხვედრილი და ახლა არის საოპერაციოში. მეტს ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ მივმართავთ სამართალდამცავებს სწრაფად გამოიძიონ ეს საზარელი თავდასხმა“, - განაცხადა თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარის მოადგილემ ნინო გოგუაძემ.

ალექსი პეტრიაშვილის თანაგუნდელები მომხდართან დაკავშირებით დამატებით დეტალებზე არ საუბრობენ.

# ესპანეთის სამეფოს საგარეო და თანამშრომლობის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში

2016 წლის 27-29 თებერვალს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ესპანეთის სამეფოს საგარეო და თანამშრომლობის მინისტრი ხოსე მანუელ გარსია - მარგაიო. ესპანეთის სამეფოს საგარეო და თანამშრომლობის მინისტრი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს და საგარეო საქმეთა მინისტრს მიხეილ ჯანელიძეს. ასევე გაიმართება ხოსე მანუელ გარსია-მარგაიოს შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია II–სთან.

ვიზიტის ფარგლებში ესპანეთის სამეფოს საგარეო და თანამშრომლობის მინისტრი პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს.

# მასშტაბური საპროტესტო ტალღა "პანორამა თბილისის" წინააღმდეგ ბრძოლაში

სალომე ხვედელიძე

სამოქალაქო მოძრაობებისა და ორგანიზაციების გაერთიანებამ - „ერთად“, 27 თებერვალს „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ აქცია გამართა, რომელსაც ათასობით თბილისელი შეუერთდა. ორგანიზატორების მთავარი მოთხოვნაა, ერთი კვირის განმავლობაში დაინიშნოს შეხვედრა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან, რომელსაც ისინი არსებულ პრობლემაზე ესაუბრებიან.

„პანორამა თბილისის“ მშენებლობის წინააღმდეგ ეს პირველი აქცია არაა. 2015 წელს ის რამდენჯერმე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სოციალურ ქსელში ვრცელდება პეტიციაც, რომლის ხელმომწერები იზიარებენ აზრს, რომ თბილისის ისტორიულ ნაწილში უზარმაზარი კომპლექსის, სავაჭრო ბიზნეს-ცენტრების აშენება და მათი საბაგიროებითა თუ ლიფტებით დაკავშირება, ზიანს მიაყენებს ქალაქის ამ ნაწილს. მათი თქმით, ალტერნატივა კომპლექსის სხვა უბანში გადატანაში უნდა ვეძებოთ. პეტიციას ხელს აწერს 16-მდე ორგანიზაცია: პარტიზანული მებაღეობა, თბილისის არქიტექტორული ფორუმი, მწვანე მუშტი, მწვანე ალტერნატივა, ფრონტლაინ - ჯორჯია, ჩემი ქალაქი, ტფილისის ჰამქარი და სხვა.

გრანდიოზული პროექტის პრეზენტაცია „თბილისი მერიოტში“, 2014 წლის მარტში, თანაინვესტირების ფონდმა გამართა. “პანორამა თბილისი“ ოთხ ადგილს მოიცავს: ერეკლე მეორის მოედანს, თავისუფლების მოედანზე ყოფილი ცეკავშირის შენობას, სოლოლაკის ქედის მიმდებარე ტერიტორიასა და სოლოლაკის ბაღებს. „ოლდ სითი დეველოპმენტის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აღნიშნული პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა კეთილდღეობას მოუტანს დედაქალაქს, რადგან დაასაქმებს ათასობით ადამიანს, მოგვცემს მასშტაბური საერთაშორისო კონფერენციების მასპინძლობის საშუალებას და ტურისტების დიდ ნაკადს მოიზიდავს. ცნობილია, რომ მისი ღირებულება მილიარდ სამასი მილიონი დოლარია.

თანაინვესტირების ფონდისა და მისი მთავარი ინვესტორის, ბიძინა ივანიშვილის ძირითადი ოპონენტები, ხელოვნებათმცოდნეები, გარემოს დამცველები და ქალაქმგეგმარებლები არიან. ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელისა და ქალაქმგეგმარებელი ზურაბ ბაქრაძის პროექტის განხორციელების მთავარი კონტრარგუმენტია ქალაქის იერსახეზე მშენებლობის უარყოფითად ასახვა და ისტორიულ უბანში უხეშად შეჭრა. ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის, „ICOMOS“ საქართველოს გენერალური მდივნის, ნატო ცინცაბაძის თქმით, არსებობს 1985 წლის ბოლო სამთავრობო დადგენილება თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვითი ზონის გაუმჯობესების შესახებ, რომელშიც გაწერილია კულტურული მემკვიდრეობის ცნების გაფართოება და ახალი ხედვა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მის ირგვლივ არსებულ გარემოს ანუ კულტურულ ლანდშაფტს. დოკუმენტის მიხედვით, ჩნდება დაცვის სივრცეები: დაცვის ზონა, სადაც შედის, ძირითადად, სოლოლაკი და მარცხენა სანაპიროს ნაწილი; განაშენიანების რეგულირების ზონა, ანუ ე.წ. ბუფერული ნაწილი და ლანდშაფტის დაცვის ზონა, რომელიც მოიცავდა თაბორის მთის, წავკისის წყლის ხევის, მთაწმინდისა და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიებს. ხოლო 2009 წელს შემუშავებული მიწის სარგებლობის გენერალური გეგმით უგულვებელყოფილია ბოლო ზონა. დოკუმენტში ნახსენებია თბილისის კულტურული მემკვიდრეობა, თუმცა მასში ძველი თბილისის ტერიტორია, როგორც დასაცავი მემკვიდრეობა, არ მოიხსენიება. ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნულ გეგმაში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს, აღნიშნავენ იმასაც, რომ დაცვითი ზონის ცვლილება იყო კანონდარღვევა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, მისი შეცვლა მხოლოდ პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას შეუძლია.

„1995 წელს საქართველომ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში სწორედ 1985 წლის დადგენილებით გათვალისწინებულ საზღვრებში წარადგინა თბილისის ისტორიული ნაწილი,“ - განაცხადა ნატო ცინცაბაძემ ქალაქის მწვანე ფორუმის 21 თებერვლის შეხვედრაზე. 2001 წელს UNESCO-მ დაადგინა თბილისის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურობა და ის მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარ ნუსხაში მსოფლიოს 11 სხვა ძეგლთან ერთად შეიტანა. ამავდროულად, ორგანიზაციის მხრიდან ითქვა, რომ ეს პროცესი მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც საქართველოში ხსენებული ფასეულობის მართვის სისტემა იარსებებს. UNESCO-ს გადაწყვეტილება ითვალისწინებს სამი სახის პასუხს: 1) განაცხადის დაკმაყოფილება; 2) უარის თქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ საკითხის განხილვა აღარ მოხდება; 3) გადავადება. ორგანიზაციამ გასცა რეკომენდაცია განაცხადის ხელახლა შეტანაზე მაშინ, როდესაც ზემოხსენებული სისტემა იარსებებს, თუმცა ქმედითი ნაბიჯები ამ მხრივ დღემდე არ გადადგმულა. მეტიც, ექსპერტები საუბრობენ იმის შესახებ, რომ „თბილისი პანორამა“ არღვევს მოცემულობას და პროექტის განხორციელების შემთხვევაში, დედაქალაქი ავტომატურად ამოვარდება მსოფლიო მემკვიდრეობის კანდიდატთა სიიდან.

ყველაფერთან ერთად, საუბარია ქალაქის ცენტრში გადაადგილების პრობლემაზე, რომელსაც ობიექტის მშენებლობა გამოიწვევს. პროექტის ავტორების თქმით, გათვალისწინებულია მიწისქვეშა სადგომი, რომელიც გათვლილი იქნება 1800 ავტომობილზე (ერეკლე მეორის მოედანი - 500, თავისუფლების მოედანი - 300, სოლოლაკის ბაღები და მაღლობი - 500-500), რომელიც მოხნის საცობისა და გადატვირთული გზების პრობლემას. აზრები ამ საკითხზეც იყოფა - თავისუფლების მოედნისა და ერეკლე მეორის ფარგლებში, შესაძლოა, პროექტმა მოთხოვნას ვერ უპასუხოს. ამასთან ერთად, სადგომის არსებობა არ ხსნის ამ უბნებში მანქანების დიდი ნაკადის პრობლემას, განსაკუთრებით ამ შენობების მასშტაბის გათვალისწინებით. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში რეგისტირებულ მანქანათა რაოდენობამ 1 მილიონს გადაჭარბა, ხოლო 2007-2008 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, ეს გაორმაგებული მაჩვენებელია. ამ ავტომობილთა დაახლოებით 50% სწორედ თბილისში იყრის თავს. დედაქალაქის ერთ-ერთი პრობლემა კი სწორედ გადატვირთული ქუჩები და საცობებია - ქალაქში არაა საკმარისი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მისი პოპულარიზაცია არ ხდება.

გარემოსდამცველების აზრით, პროექტი მიუღებელია არა მხოლოდ ისტორიულ უბანში შეჭრის, არამედ ეკოლოგიური ზიანის გამოც. ჰაერში ნახშირბადის დიოქსიდის გადაჭარბება ტრანსპორტის გამონაბოლქვს უკავშირდება, რომლის მაღალი კონცენტრაციაც, ჩატარებული კვლევების მიხედვით, გადატვირთული ქუჩების მეშვეობით სოლოლაკის ტერიტორიაზე დასტურდება.

უნდა ითქვას, რომ „პანორამა თბილისის“ პროექტის მოწინააღმდეგთა ბანაკში საერთაშორისო საზოგადოებაც აღმოჩნდა. სექტემბერში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ბრიტანულმა და საერთაშორისო წამყვანმა ორგანიზაციებმა წერილობით მიმართეს საქართველოს მთავრობას და რეკომენდაცია გაუწიეს პროექტის დახურვას ნახსენები ტერიტორიის ფარგლებში. „თბილისს, ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და ისტორიულ დედაქალაქს, ემუქრება განადგურების საფრთხე დომინანტური, მსხვილმასშტაბიანი არქიტექტურული პროექტის - „პანორამა თბილისის“ სახით. მოგიწოდებთ, იმოქმედოთ, იმისათვის რომ ეს პროექტი გაუქმდეს და თბილისის ისტორიული ქალაქის შემომსაზღვრელი ფერდობები დაცული იქნას მშენებლობისაგან“, - ნათქვამია წერილში. მას ხელს აწერენ მსოფლიო ძეგლთა ფონდი, ევროპა ნოსტრა, გლობალური მემკვიდრეობის ფონდი, ძველი ძეგლის საზოგადოება, ეროვნული საუნჯის საზოგადოებათა გაერთიანებული კომიტეტი და სხვა ცნობილი ორგანიზაციები. ისინი აგრეთვე საჭიროდ მიიჩნევენ კანონების გამკაცრებას ზონირებისა და შენობების სიმაღლესთან დაკავშირებით.

„პანორამა თბილისის“ პროექტზე კონსესუსის მიღწევის სირთულეს წარმოადგენს ინვესტორებსა და ქალაქის მოსახლეობის ნაწილს შორის ინტერესთა გაყოფა. საჭირო დოკუმენტაცისთან ერთად, რომელიც მერიამ, საკრებულომ და ეკონომიკის სამინისტრომ იდეის ავტორებს დაუმტკიცეს, ფონდის წარმომადგენლები საუბრობენ ქალაქის ამ ნაწილის განსაკუთრებულობაზე, რომელიც მათ სასტუმროსა და მთლიანად კომპლექსს უფრო რენტაბელურსა და მიმზიდველს გახდის. დაპირისპირებული მოსახლეობის თქმით კი, ძველი თბილისის მნიშვნელობა არ უნდა შეეწიროს ბიზნესმენების კერძო ინტერესებს. თბილისის ყველა წერტილიდან ხილული გრანდიოზული კომპლექსი ამოვარდნილი იქნება ძველი ქალაქის მთლიანობიდან. ალტერნატიული ვარიანტებზე საუბრისას კი, ყველაზე ხშირად გაჟღერებულია თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც სხვა ბიზნესმენებისთვისაც ახალი მიზიდულობის კერა გახდებოდა. დღეს დედაქალაქი ფრაგმენტულად ვითარდება - არ არსებობს განვითარების ერთიანი გეგმა, რომელიც მომავალში უზრუნველყოფდა მსხვილი და მნიშვნელოვანი ობიექტების ცენტრიდან პერიფერიებისკენ გადატანას, რითაც ხელს შეუწყობდა საქმიანი და ბიზნეს რაიონების ახალ ცენტრების წარმოქმნას.

# საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა სავარაუდოდ ჯიდევ უფრო შემცირდება

ბუჩანდა ძამელაშვილი

2017–18 წლებში საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდება. ამის შესახებ კვლევა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (IDFI) მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის კვლევის საფუძველზე, 22 თებერვალს გამოაქვეყნა, რომელშიც, მომავალ წლებში, საქართველოში შობადობისა და მოსახლეობის კიდევ უფრო შემცირებაა ნავარაუდევი.

კვლევის განხორციელება IDFI-იმ 2015 წლის მაისის თვიდან დაიწყო, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა ევროკავშირის ქვეყნებში ოჯახის მხარადჭერის თვალსაზრისით არსებული პრაქტიკა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვნილი იქნა შესაბამისი საჯარო ინფორმაცია. საკითხის შესწავლისას გამოყენებულ იქნა




სამინისტროების, სააგენტოებისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. გაეროს ანგარიშს მიხედვით და დემოგრაფიულ საკითხებში ექსპერტების ვარაუდით 2017-2018 წლიდან საქართველოში მნიშნელოვნად შემცირდება შობადობის მაჩვენებელი. ხსენებული ვარაუდი კი გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ 2017-2018 წლებიდან ქორწინებისა და რეპროდუქციული პოტენციალის ასაკში შევა 90-იან წლებში დაბადებული მოსახლეობა, როდესაც საქართველოში შობადობა ძალიან დაბალი იყო.

„საქართველოს ხელისუფლებას კრიზისულ პერიოდში სტრატეგიის შემუშავება მართებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს აღნიშნულ რისკებს. დღევანდელი სახელმწიფო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს რისკების თავიდან შემცირებას, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა მოიცავს მხოლოდ საქართველოში ახალშობილთა დაახლოებით 30%-ს, ამასთან გათვალისწინებული არ არის მთელი რიგი დახმარების სახეები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში არსებობენ, მაგალითად, მრავალშვილიანი ოჯახებისათის საგადასახადო შეღავათები, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით ფინანსური დახმარება, კომუნალური შეღავათები და ა.შ", – განაცხადა „ობზერვერთან" საუბრისას IDFI-ის თამჯდომარემ ლევან ავალიშვილმა.

IDFI–ის კვლევას დემოგრაფიული აღორძინების ფონდის პრეზიდენტი თამარ ჩიბურდანიძე გამოეხმაურა. „საქართველოში 2017 წლიდან დემოგრაფიული კრიზისი იწყება, თუ არაფერი შეიცვალა, კრიზისი პიკს 2030 წელს მიაღწევს, გაერო კი 2050 წლიდან დემოგრაფიულ კატასტროფას გვიწინასწარმეტყველებს. ეს კრიზისი 2017 წლიდან იწყება",- აცხადებს ჩიბურდანიძე. მისი თქმით, 2017 წლიდან შობადობის კლება გარდაუვალია, რადგან 90-იან წლებში დაბადებული გოგონების რაოდენობა, რომლებიც რეპროდუქციულ ასაკში სწორედ 2017 წელს შედიან, 80-იან წლებში დაბადებული გოგონების რაოდენობის ნახევარია.

„თუ არაფერი შეიცვალა ქვეყანაში, კრიზისი 2025-2030 წლისთვის პიკს მიაღწევს და დემოგრაფიულ კატასტროფას მივიღებთ. სწორედ ამიტომ 3 წლის წინ ხელისუფლებასთან ერთად დავიწყეთ მუშაობა, თუმცა ეს პროცესი მინიმუმ 10 წლის წინ უნდა დაწყებულიყო, რათა 2017 წელს დემოგრაფიული თვალსაზრისით უკეთესი შედეგებისთვის მიგვეღწია", – ამბობს ჩიბურდანიძე. მისი აზრით, კრიზისის თავიდან ასაცილებლად დემოგრაფიულ პოლიტიკაში ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა მთავარი მიმართულება უნდა იყოს.

საქართველოს 6 რეგიონში სიკვდილიანობა შობადობას აღემატება. 2014 წლის პირველი ივნისიდან ქვეყანაში ამოქმედებული დემოგრაფიული პოლიტიკა მესამე და შემდგომი შვილის გაჩენის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნული ინიციატივა მხოლოდ 6 რეგიონში ხორციელდება და ყოველთვიურად ბარში 150, ხოლო მთაში 200 ლარის ოდენობით დახმარებით განისაზღვრება. შედეგად, უნდა მოხდეს რეგიონებს შორის, სადაც შობადობის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი მაჩვენებელია, მოსახლეობის დისბალანსის აღმოფხვრა. ჩიბურდანიძის თქმით, რეგიონალურმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ დადებით შედეგი უკვე გამოიღო. 2014 წლის 1 ივნისიდან 2015 წლის დეკემბრამდე ამ ინიციატივის მიმღები ბენეფიციარი უკვე 5 283 ბავშვია. თუმცა, აღნიშნულ 6 რეგიონში ჯერ კიდევ სიკვდილიანობის რიცხვი შობადობის მაჩვენებელს აღემატება.

ით შემცირდა და მოსახლეობის საერთო რაოდენობამ 3 729 635 ადამიანი შეადგინა. გაეროს მოსახლეობის კვლევის ფონდის 2010 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში 2050 წლისთვის დემოგრაფიული კატასტროფა გარდაუვალია და ქვეყნის მოსახლეობა 1 170 000 ათასით შემცირდება. „ევრომონიტორ ინტერნეშენალის" პროგონოზით კი, 2030 წლისთვის მოსახლეობის რაოდენობა 4 400 000 იქნება.

საქართველოში დემოგრაფიის სავალალო მდგომარეობაზე და დაბალი შობადობის მაჩვენებელზე არაერთი დისკუსია იმართება. მოსალოდნელი პროგნოზების შესახებ განსხვავებული მოსაზრებებები გაისმის როგორც დემოგრაფების და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. მოსახლეობის კვლევის ცენტრის თამჯდომარემ, დემოგრაფმა ირინა ბადურაშვილმა „ობზერვერთან" საუბარში განაცხადა, რომ მოსახლეების რაოდენობის მომავალში შემცირება სადავოა. „თუ ჩათვლით, რომ 2014 წლის აღწერა სწორად ჩატარდა და მოსახლეობა სწორად აღირიცხა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის რაოდენობა 2002 წელს არასწორად დადგინდა, რადგანაც ბოლო 12 წელში მოსახლეობის რიცხვი ასეთი დიდი მაჩვენებლით ვერ დაიკლებდა. საქართველოს მოსახლეობის შემცირების ძირითადი მიზეზი აქამდე იყო ემიგრაციული პროცესები და სადავო საკითხია, რამდენად გაუარესდება მაჩვენებელი მომავალში", - აღნიშნა ბადურაშვილმა. დემოგრაფი ეჭვის თვალით უყურებს გამოთქმულ აზრს, რომ საქართველოში შობადობის მაჩვენებელი დაბალია. „გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ შარშან ჩატარებულმა ანალიზმა, დაამტკიცა რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში ამ ბოლო პერიოდისთვის არის 2.0 – 2.1. ეს არც ისე დაბალი მაჩვენებელია", - ამბობს ბადურაშვილი.

თუ გაეროს კვლევის ფონდი 2017 წლისთვის შობადობის შემცირებას ვარაუდობს, 2014 წლის მეორე ნახევარში გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, შობადობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროპის მასშტაბით საქართველოში დაფიქსირდა. ამის შესახებ 2015 წელს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ ისაუბრა. მისი ინფორმაციით, 2012 წლიდან დემოგრაფიულმა მაჩვენებელმა საგრძნობლად იმატა: 2012 წელს კოეფიციენტი - 1.6, 2013 - 1.7, ხოლო 2015 - 2.0-მდე გაიზარდა. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მაჩვენებელი გამოაქვეყნა სტატისტიკის დეპარტამენტმაც, რომლის მიხედვითაც, შობადობა 4.8%-ით გაიზარდა. აღნიშნულთან მიმართებით განსხვავებული მოსაზრებები გაჩნდა. ექსპერტთა ნაწილი შობადობის უმნიშვნელო ზრდას უფასო მშობიარობას, საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის დაარსებასა და პატრიარქის ინიციატივას (მესამე და ყოველი მომდევნო შვილის მონათვლასთან დაკავშირებით) უკავშირებდა.

საქსტატის მონაცემების (2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) მიხედვით, საქართველოში 3 729.5 ათასი ადამიანი ირიცხება.



# სოლიდარობის იმედად დარჩენილი თბილისის ზოოპარკი

ბვანსა სილიჯაშვილი

თბილისში ახალგახსნილი კონტაქტური ზოოპარკი „ფაუნა ლენდი“ თანდათან პოპულარული ხდება. კოლმეურნეობის მოედანზე, სავაჭრო ცენტრ „GTC“-ში განთავსებულ დაწესებულებას, რომელიც ორ ნაწილად იყოფა, ცხოველთა მოყვარულები აქტიურად სტუმრობენ. ჯუნგლების განყოფილება, სადაც ეგზოტიკური ცხოველები და ქვეწარმავლებია და ფერმა, სადაც შინაური ცხოველები ბინადრობენ - ვიზიტორთა ყურადღებას იპყრობს. „ფაუნდა ლენდის“ დირექტორის, დიანა ხმალაძის თქმით, ცხოველებთან ფიზიკური კონტაქტი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის სასიამოვნო და სასარგებლოა. აქ შეიძლება მოეფეროთ და აჭამოთ ისეთ ცხოველებს, როგორებიცაა: ციკნები, გოჭები, ბოცვრები, ბატკნები, ზღარბები და სირაქლემა. სანამ 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული თბილისის ზოოპარკი რესტავრირების პროცესშია, ახალი ზოოპარკი საოჯახო დასვენების დარგში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას გეგმავს.

ძველი ზოოპარკის ბედი კვლავ გაურკვეველი რჩება. მისი ბინადრები თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცნენ, განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბეჰემოთი, რომლის სეირნობაც ქალაქის ცენტრში უცხოელ ფოტორეპორტიორებს არ გამოჰპარვიათ. არანაკლებ პოპულარული იყო დათვის ბელი, რომელიც შეშინებული ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მოთავსდა და იქიდან აკვირდებოდა ქალაქში დატრიალებულ ტრაგედიას.

საქართველოს მთავრობა ზოოპარკის გადატანაზე განსაკუთრებით აქტიურად სტიქიის შემდეგ ალაპარაკდა. ზოოპარკის ბინადართა ახალ სამყოფელად თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია მოიაზრებოდა. თუმცა, სტიქიიდან 8 თვის შემდეგაც საკითხთან დაკავშირებით არანაირი წინსვლა არ ჩანს.

დაზარალებულმა ზოოპარკმა მიმზიდველობასთან ერთად დამთვალიერებელიც დაკარგა და რაც ყველაზე მთავარია, პრობლემებთან გამკლავებამას თავად უწევს. გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ თბილისის მერიამ ერთადერთხელ გამოყო თანხა- 95 000 ლარი. ეს საკმარისი აღმოჩნდა ბეჰემოთის ვოლიერის ასაშენებლად, რომელიც ზამთარში ღია ცის ქვეშ ვერ გაძლებდა. თანხა ასევე მოხმარდა ზოოპარკისთვის თბილისის ზღვაზე გადაცემული ახალი ტერიტორიის შემოღობვას.

დაწესებულებას დაფინანსების ორი ძირითადი წყარო გააჩნია: მერიის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი, რომელიც დღემდე აქვს და საკუთარი შემოსავალი, რომელსაც ვიზიტორებისგან შემოსული თანხის სახით იღებს და იჯარები (კაფეების, მაღაზიების, ატრაქციონების მეპატრონეებიის მიერ გადახდილი თანხა). თუმცა მერიამ შეღავათის სახით დაზარალებულები იჯარისგან გაათავისუფლა და ზოოპარკს ეს შემოსავალიც შეუწყდა. სანაცვლოდ კი, კომპენსაცია არ მიუღია.

ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელაძემ „ობზერვერთან“ საუბარში აღნიშნა, რომ მათი შემოსავალი ძალიან დაბალია, რაც დამთვალიერებელთა რაოდენობის კლებამ განაპირობა. გურიელაძე მიიჩნევს, რომ ვიზიტორების ნაკლებობის მიზეზი ცხოველთა რაოდენობის შემცირებაა. „გადარჩენილთა შორისაა თეთრი ვეფხვების ოჯახი, სპილოები, ბეჰემოთი და მარტორქა, თუმცა პოპულარულ ცხოველთა დიდი ნაწილი აღარაა. ამას ემატება ის მძიმე ისტორიები, რომლებიც ხალხს შემორჩა საყვარელი ცხოველების დაღუპვის გამო. ერთი შეხედვით, ზოოპარკი არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში გამოიყურება და არსებული მცირე შემოსავალი საკმარისი ვერ იქნება“, - ამბობს ზოოპარკის დირექტორი. თავისი მოძიებული სახსრებით ის არა მარტო არსებულის მოვლაზე, არამედ ახალის მოწყობაზეც აქტიურად ზრუნავს.

2011 წელს ზოოპარკისთვის გადაცემული ტერიტორია მერიის ხელშეწყობით ნაგვისგან ნელნელა იწმინდება. თუმცა არასაკმარისი რესურსების გამო გადასვლა ეტაპობრივად იგეგმება. გერმანიის თანამშრომლობის ფონდისგან მიღებული გრანტით გაწერილია 4 ადგილობრივი სახეობის ცხოველისთვის ვოლიერების აშენება. „ეს იქნება თანამდროვე ევროპული სტილის უბარიერო ვოლიერები. რაც გულისხმობს, რომ დამთვალიერებელს ცხოველებთან ფიზიკური კონტაქტი შეეძლებათ. ახალი ზოოპარკის გახსნამდე კი, არსებული ნაწილობრივ აღდგენილია“, - აცხადებს გურიელაძე.

ზოოპარკის ქვედა ნაწილის რესტავრაცია არ იგეგმება, ზედა ნაწილში კი მუშაობა მიმდინარეობს. პრიმატებისთვის (ნახევრადმაიმუნები, მაიმუნები) 2 ახალი ვოლიერი შენდება. ზედა ნაწილი, კერძოდ, ეგზოტარიუმი, სტიქიის შედეგად არ დაზიანებულა და გარკვეული რეკონსტრუქციაც ჩაუტარდა: გაკეთდა ახალი აკვარიუმები, შეიქმნა ინსექტარიუმი. დამთვალიერებლისთვის მრავალი საინტერესო ექსპოზიციების ნახვაა შესაძლებელი. გაზაფხულიდან კი თბილისის ზოოპარკს არაერთი ცხოველი შეემატება.

გურიელიძის თქმით, ევროპის ზოოპარკებმა დიდი მხარდაჭერა გამოიჩინეს. მათ არა მარტო ცხოველებით მოამარაგეს, არამედ ტრანსპორტირების ხარჯებიც გაიღეს, რაც საკმაოდ თანხებთანაა დაკავშირებული. გადმოცემულ ცხოველებს შორის ბრისტოლის ზოოპარკის მიერ გამოგზავნილი 24 პინგვინია, რომლებსაც უკვე მარტიდან ელოდებიან.

ახალ ვოლიერებს კი ახალი ბინადრები ეყოლებათ. ზოოპარკი მალე კენგურუს მიიღებს და საოცარი ცხოველებით ბავშვებსა და უფროსებს კვლავ გააოცებს.

## ბუდაპეშტში საერთაშორისო სათხილამურო შეჯიბრი გაიმართა

საფრანგეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატის ორგანიზებით, 27 და 28 თებერვალს, ყაზბეგსა და გუდაურში სათხილამურო შეჯიბრი გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საფრანგეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატის წევრები, საქართველოში არსებული სხვა ქვეყნების სავაჭრო და სამრეწველო პალატებისა და ბიზნეს ასოციაციების წევრები, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის საელჩოები, მსოფლიო ბანკის, “EBRD”-ისა და გაეროს წარმომადგენლები.

მამაკაცთა გუნდიდან I ადგილზე დიპლომატი დენის პიტერი გავიდა, II და III ადგილები კი ოლივიე მადიომ და სტანისლავ კრავჩუკმა გაინაწილეს. შესაბამისად, ქალთა კატეგორიაში I ადგილი ქეთი ქვარცხავამ დაიკავა, II და III ადგილბზე კი, პასკალ პეგიანი და ჟისლენ მარიანი გავიდნენ. გამარჯვებულებს სპონსორების მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ.

შეჯიბრის შემდეგ ყაზბეგში დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, სადაც საქველმოქმედო აუქციონი მოეწყო. გაიყიდა „ნეშენალ ჯეოგრაფიკის“ იშვიათი საინტერესო ფოტოები, „ბაია გალერის“ ნახატები, ბუფონის მიერ ხელმოწერილი ბურთი და რაგბის ბურთები ქართველი მორაგბეების ავტოგრაფებით.

„ძალიან წარმატებული საქველმოქმედო აუქციონი იყო, გაიყიდა მნიშვნელოვანი ნამუშევრები, შემოსული თანხა კი, ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მთლიანად ქუჩაში მცხოვრებ გაჭირვებულ ბავშვთა დახმარებას მოხმარდება“, - აღნიშნა „ობზერვერთან“ საუბარში სავაჭრო და სამრეწველო პალატა საფრანგეთი-საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ქეთი კენკიშვილმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აუქციონის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოვიდა და ქუჩაში მცხოვრები უსახლკარო ბავშვების დახმარების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისივე ინიციატივით, ცოტა ხნის წინ მთავრობამ უსახლკარო ბავშვების დაცვის მიზნით კანონპროექტი დაამტკიცა, რის მიხედვითაც სახელმწიფო „მიუსაფარ ბავშვებზე“ იზრუნებს.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საფრანგეთის ელჩი, ამერიკისა და საფრანგეთის სავაჭრო პალატების პრეზიდენტები, სამინისტროსა და საელჩოს წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

სავაჭრო და სამრეწველო პალატა საფრანგეთი - საქართველო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული და ფრანგული ბიზნესის განვითარებას.

## ვროცლავში აჭარის დღეები გაიმართა

ქვემო სილეზიასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის მიზნით აჭარის დელეგაცია პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გაემგზავრა.

პოლონური და ქართული ბიზნეს წრეების თანამშრომლობის ხელშესაწყობად გაიმართა ეკონომიკური ფორუმი „ვროცლავი-ბათუმი 2016“.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი 26-28 თებერვალს პირველად მიიღო მონაწილეობა ქალაქ ვროცლავში გამართულ ტურისტულ გამოფენაში, რომლის ფარგლებში გაიმართა აჭარის დღეები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა„ხორუმი“ და „ბათუმი“.

ქალაქი ვროცლავი 2016 წელს დასახელებულია ევროპის კულტურის დედაქალაქად, რაც კიდევ უფრო ზრდის ვროცლავი-ბათუმის თანამშრომლობის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებს.

# თუ თქვენ ფუმფულა ხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ განსაჯეთრებელის ხართ!

ნინი ჯაფარიძე

რამდენიმე დღის წინ ფოტოსესიაზე მოვხვდი. განსაკუთრებული დღე იყო, რადგან თავას ისე ვგრძნობდი როგორც თევზი წყალში. არც ზედმეტი კილოგრამები მადარდებდა და არც ის, რომ ვიღაცას შესაძლოა გაოცებით ეთქვა: ოჰ, ღმერთო ჩემო, ჯინსები აცვია, არადა რამხელაა! საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად მადარდებს, მაგრამ როდესაც საქმე ჩემს წონას ეხება ყველაფერი იცვლება. ზოგჯერ ერთი სიტყვაც კი საკმარისია, რომ ხასიათი გამიფუჭდეს.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია წონის პრობლემა მან იცის, რასაც ვგულისხმობ - ზედმეტ კილოგრამებს რადიკალურად შეუძლიათ ჩვენი ცხოვრების შეცვლა. მითუმეტეს, როცა საქართველოში „პლიუს ზომის გოგონების“ კულტურა ჯერ დამკვიდრებული არ არის. ჩვენთან ზედმეტი კილოგრამები მარტოობასთან, თავდაუჯერებლობასთან და რიგ სხვა კომპლექსებთან ასოცირდება. ამას ყველაფერს ისიც ამძაფრებს, რომ XL, ან კიდევ XXL სამოსის ყიდვა ასეთი რთულია. შენ ვერასდროს პოულობ იმას, რაც მოგწონს, მართალია, თავს არ იშურებ, დადიხარ, არჩევ და იზომავ, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული ხარ იყიდო ის რაშიც „ეტევი“ და ის, რაც არ მოგწონს.

ფოტოსესიაზე მყოფ გოგონებს ჩემი კარგად ესმოდათ. აქ ყველანი "ჩემიანები" იყვნენ. არავინ სვამდა ისეთ უხერხულ შეკითხვებს: რატომ გასუქდი? რატომ არ უვლი საკუთარ თავს? რატომ არ გახდი მანამდე? რას ამბობს შენი შეყვარებული? არაფერს? რატომ? ნუთუ მოსწონხარ ისეთი როგორიც ხარ?! სამწუხაროა, როდესაც ადამიანები ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ზოგჯერ ერთი სიტყვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მთელი დღის განწყობა შეგვეცვალოს, გვეწყინოს, დაგვეკარგოს მოტივაცია და თავდაჯერებულობა. არადა ეს მაშინ, როდესაც გამხნევება ასეთი მნიშვნელოვანია. განა რა უდგას წინ იმ ორიოდე სიტყვის თქმას, რომლებსაც მთების გადადგმა შეუძლიათ - "შენ ამას შეძლებ !"

წონის მომატება რომ არც ისე რთულია და ეს ყველამ იცის. ზოგჯერ ისეც ხდება რომ დამალობანას გვეთამაშება. ისე შემოგვეპარება ზედმეტი კილოგრამები ვერაფერს ვამჩნევთ. ორს ორი ემატება, ათს ათი, საბოლოოდ კი გამოდის, რომ დასაკლები კილოგრამების რაოდენობა კატასტროფულად სოლიდურია. შენც იბნევი და აღარ იცი საიდან დაიწყო. არ იცი როგორ მოაგვარო პრობლემა, რომელიც გუშინ სულაც არ იყო შენი. როდესაც ცდილობ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დარქვა და გამოსავალი იპოვო, გეუბნებიან, რომ წონის მატებას გამართლება არ აქვს და მითუმეტეს მაშინ, თუ ახალგზარდა ხარ. "შენ ვალდებული ხარ, რომ საკუთარ თავს მიხედო", - გესმის ახლობლებისგან და სიტყვებს, რომლებიც რეკომენდაციასავით უნდა ჟღერდეს, მუქარანარევი ტონი აქვს. ამის მიუხედავად შენ მაინც აგრძელებ და ცდილობ, რომ ყველაფერს საკუთარი სახელი დაარქვა. ცდილობ განმარტო, რომ წონის მატების მიზეზი შესაძლოა ნებისმიერი რამე გახდეს, მათ შორის, სტრესი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, ოჯახი, შვილები, პირადი პრობლემები, ფინანსური კრიზისი...

თუ თქვენ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან არაერთხელ გქონიათ ჭიდილი და ეს საკმარისი გამართლება არ არის, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადამიანები განსხვავებულები ვართ და ყველაფერს ინდივიდუალურად აღვიქვამთ. წონა - ეს ის საკითხია, რომელიც არც ერთ კანონზომიერებას არ ემორჩილება. მაშინ, როდესაც ადამიანის გაკრიტიკებას გადაწყვეტთ, ვითომდა აუცილებლად უნდა იკვებოს ჯანმრთელად, შეეშვას „ფასთ ფუდებს“, ივარჯიშოს და ა.შ დაფიქრდით, რადგან ის, რაც თქვენთვის მარტივი და მისაღებია, შესაძლოა, სხვისთვის ასე სულაც არ იყოს. ყველაზე მარტივი გამხნევებაა, სიტყვები, რომლებსაც მთების გადადგმა შეუძლიათ: შენ ამას შეძლებ!"

ფოტოსესიაზე მყოფ გოგოებს ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა. თითოეულმა ჩვენგანმა იცოდა თუ რა იყო საჭირო ე.წ იდეალური ფორმების მისაღწევად: სწორი კვება, რაციონიდან ცხიმიანი და კალორიული საკვების ამოღება, ვარჯიში, მოძრაობა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩვენ არ ვიცოდით ყველაზე მთავარი-როგორ დაგვეწყო და, რაც მთავარია, გვაკლდა ის, რაც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებოდა - მოტივაცია. სხვათაშორის, ჩვენი შეკრების მთავარი მიზეზიც სწორედ ეს იყო, ფოტოსესიას ჩვენ მოტივაციისთვის მივაკითხეთ.

ყველაფერი რამდენიმე დღის წინ ჟურნალ "სითის" მიერ გამოცხადებული კონკურსით დაიწყო. პროექტმა "გახდი სითისთან ერთად, გახდი სითის სახე" სრულიად სოციალური ქსელი დაიპყრო. იდეას უამარავი ადამიანი გამოეხმაურა. მათ შორის ვიყავი მეც. ჩემს სამეგობროში ყველაზე ფუმფულა მაშინვე საინტერესო იდეით დავინტერესდი. თავდაპირველად ყველაფერს მარტივად მივუდექი და ისე გავაკეთე, როგორც საჭირო იყო. შევქმენი ბლოგი, ავტვირთე ფოტოები და დავწერე უზარმაზარი ტექსტი, სადაც განვმარტე თუ რა ცუდი იყო სიმსუქნე და რატომ მსურდა გახდომა.

მე ჩემი არჩევანი უკვე გავაკეთე, მინდა, რომ გავხდე, რადგან ასე ვგრძნობ თავს კარგად, ასე ვარ ბედნიერი და თავისუფალი. ფოტოსესიაზე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალიც აღმოვაჩინე. "ფუმფულა" ქალებს თავიანთი უამრავი დადებითი აქვთ და ისინი არავისზე ნაკლებნი არ არიან. კედელთან მდგომი ოთახში შემოსულ გოგონებს გაფაციცებით ვაკვირდებოდი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მთელი ცხოვრების მანძილზე იმდენად შეპყრობილი ვიყავი ზედმეტი წონის საშინელებით, ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გამომეპარა. ნეტა გენახათ როგორი ლამაზები იყვნენ ოთახში მყოფი გოგოები, თავიანთი ფუმფულა ფორმებით. თვალებიდან განსაკუთრებულ სითბოსა და სიხარულს ასხივებდნენ. იყვნენ ლაღები, ხუმრობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს ზედმეტი წონის პრობლემა ჰქონდა, მოხდენილად და ლამაზად ეცვათ. ფოტოსესიაზე მყოფი გოგონებისგან განსაკუთრებული ენერგეტიკა მოდიოდა, თითქოს ჯადოსნურიც. დამერწმუნეთ, საკმარისია შეეშვათ კრიტიკული თვალით ყურება, მიხვდებით, რომ ფუმფულა ქალი განსაკუთრებული და მშვენიერია და თუ ის გადაწყვეტს გახდომას უთხარით, რომ ის ამას აუცილებლად შეძლებს და კიდევ უფრო მშვენიერი გახდება.

# მარსელში ქართული ღვინის გამოფენა გაიხსნა




მარსელის ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა მუზეუმში ქართული ღვინის კუთხე გაიხსნა. გამოფენილი ექსპოზიციები უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის განვითარების ეტაპებს ასახავს. ქართულ სტენდზე ტრადიციულ საღვინე ჭურჭელთან ერთად, ქართული მარნის ატრიბუტები – ქვევრი, სარცხი, ორშიმო, ისტორიული არტეფაქტები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.

გამოფენის გახსნაზე მუზეუმის პრეზიდენტმა, მარსელის ვიცე-მერმა ჟან ფრანსუა შუნიემ მუზეუმში ქართული კუთხის წარმოდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ საქართველო წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერას, სადაც მეღვინეობა არსებობისა და განვითარების 8 ათასწლიან უწყვეტ ტრადიციას ითვლის. ქვევრში ღვინის დაყენების ქართული, ტრადიციული წესი კი, უნიკალურია მსოფლიოში და 2013 წლიდან იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში არის შესული.

მუზეუმს, რომელშიც გამოფენების გარდა სემინარები, ფორუმები და კოლოქვიუმებიც იმართება, ყოველდღიურად 20 ათასამდე ვიზიტორი სტუმრობს.

# ველოსიპედის პარკინგების მოსანყობად საქველმოქმედო აქსია გაიმართება

ფონდ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ ორგანიზებით 26 თებერვალს, პარასკევს, 19:30 საათზე, ვარდების მოედანზე გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება სახელწოდებით – „იმგზავრე ველოსიპედით და მიირთვი ორცხობილა“.

პროექტის მიზანია თბილისში უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალების – ველოსიპედის პოპულარიზაცია, რაც ასევე გულისხმობს ჭავჭავაძის გამზირზე სტუდენტებისთვის ველოსიპედის სადგომების მონტაჟს.

„მიგვაჩნია, რომ ველოსიპედის, როგორც სატრანსპორტო საშუალების, პოპულარიზაციისთვის, საჭიროა, შევქმნათ ველოსიპედის პარკინგის სადგომების შექმნას, ხელს შევუწყობთ მომავალში ველოსიპედით გადაადგილებას“.

# ეროვნული სიმფონიური ორკესტრის კონსერტი გიდონ კრემერთან ერთად შედგა

ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა გრემის მფლობელის მუსიკოსს, მსოფლიოში აღიარებულ მევიოლინეს, გიდონ კრემერს უმასპინძლა. კონცერტი 22 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებულ თეატრში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

ვირტუოზმა მევიოლინემ კომპოზიტორ გია ყანჩელის საიუბილეო წელთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოსვლის სურვილი თავად გამოთქვა. გიდონ კრემერი, ეროვნული სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით ქართველი მსმენელის წინაშე სწორედ ყანჩელის ნაწარმოებებით წარსდგა.

„მოხარული ვარ, რომ ჩემს საყვარელ ქალაქ თბილისს კიდევ ერთხელ ვეწვიე. გია ყანჩელი არამხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი კოლეგებისთვისაც მნიშვნელოვანი პიროვნება და კომპოზიტორია. მიყვარს, როდესაც ყანჩელის მუსიკას ვუკრავ, რადგან მისი მუსიკის შესრულებისას ყველა ემოციას ცხადად ვგრძნობ. მიხარია, რომ მასთან მუშაობის კიდევ ერთი შესაძლებლობა მქონდა“,- განაცხადა გიდონ კრემერმა კონცერტის დასასრულს.

მუსიკოსი მსოფლიოში ცნობილ კამერულ ორკესტრს „კრემერატა ბალტიკას“ ხელმძღვანელობს და კონცერტებს მსოფლიოს წამყვან სცენებზე მართავს. მის სახელთანაა დაკავშირებული ყანჩელის მრავალი ნაწარმოების საპრემიერო შესრულება, რამდენიმე მათგანი კომპოზიტორმა ექსკლუზიურად მაესტრო კრემერისათვის შექმნა. ამჟამად, მევიოლინე თბილისს ცნობილ ჩელისტთან გიედრე დირვანაუსკაიტესთან ერთად ეწვია და ქართველი კომპოზიტორის „სევდის ანგელოზები“ შეასრულა. ნაწარმოების მსოფლიო პრემიერა 2014 წელს ჯერ კრონბერგის ფესტივალის ფარგლებში, შემდეგ კი ბერლინის ფილარმონიაში შედგა. კონცერტზე, რომელსაც ერთგვარი აქციის სახე ჰქონდა, გიდონ კრემერმა, მარტა არგერიხთან, ემანუელ პაისთან, ხატია ბუნიათიშვილთან, ნიკოლოზ რაჭველთან და სხვა ცნობილ მუსიკოსებთან ერთად რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევა დაგმო.

ასევე, შესრულდა ყანჩელის ახალი სიმფონიური თხზულება “NU MU ZU”, რომელის მსოფლიო პრემიერა 2015 წლის 5 ნოემბერს შედგა. გაჟღერდა “TWILIGHT”-ი, რომლის პრემიერაც ზალცბურგში 2005 წელს სწორედ გიდონ კრემერის შესრულებით გაიმართა. გიდონ კრემერმა ნაწარმოები ახალგაზრდა ქართველ ალტისტთან გიორგი ცაგარელთან ერთად შეასრულა. წარმოდგენილი იყო სხვა ყანჩელის სხვა ცნობილი ნაწარმოებებიც.

მევიოლინე გიდონ კრემერი მე-20 საუკუნის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაა. ის რიგაში დაიბადა, დაკვრა 4 წლის ასაკში დაიწო, 16 წლის ასაკში კი, ლატვიის რესპუბლიკის პირველი ჯილდო დაიმსახურა. 1969 წელს მოსკოვის კონსერვატორიაში ვიოლინის განხრით დევიდ ოისტრახის კლასში სწავლობდა. კრემერი მრავალი კონკურსის გამარჯვებულია: გენუაში პაგანინის სახელობის მევიოლინეთა საერთაშორისო და მონრეალში 1969 წელს შემსრულებელთა საერთაშორის კონკურსების, ასევე მევიოლინეთა ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის 1970 წელს გამარჯვებულია. მუსიკოსი 1980 წელს საბჭოთა კავშირიდან წავიდა. 1981 წელს ავსტრიის ქალაქ ლოკენჰაუზში კამერული მუსიკის ფესტივალი დააარსა, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი 2011 წლამდე იყო. 2001 წელს მევიოლინე, თავის მიერ დაარსებულ ორკესტრ „კრემერატა ბალტიკასთან“ ერთად ალბომისთვის „After Mozart“ გრემის პრემიის მფლობელი გახდა ნომინაციაში.

„ბოლოს 30 წლის განმავლობაში მუდმივად მიწევს გადაფრენა და სხვადასხვა ქალაქში ცხოვრება. მიმუშავია ბევრ სცენაზე და განსხვავებულ ადამიანთან ერთად. ყოველთვის ვცდილობდი მეგობრების და მუსიკის მიმართად გულწრფელი, ერთგული ვყოფილიყავი და მოვქცეულიყავი ისე, როგორც სინდისი მკარნახობდა. ვიცი, რომ პირველ რიგში უნდა მიყვარდეს, არა მხოლოდ მუსიკა, არამედ ცხოვრება და ჩემი ახლობლები“, - განაცხადა მუსიკოსმა.

მუსიკოსი არასდროს საუბრობს წარმატებულ გამოსვლებსა თუ პროექტებზე, მიაჩნია, რომ დადებით მოვლენებზე თავად კი არა საზოგადოებამ უნდა აღნიშნოს. უყვარს სიურპრიზების კეთება და აღიარებს, რომ ბევრჯერ ყოფილა შეყვარებული. ხშირად ბევრ რამეზე ერთროულად ფიქრობს და სწორედ ამის გამო მნიშვნელოვან საკითხებს ხანდახან სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს, რასაც ძალიან ნანობს. როგორც ყველა ადამიანი კრემერსაც ერთი ოცნება აქვს: „სიმშვიდე მოვიპოვო, რომელიც ხშირად მესიზმრება, მაგრამ სიზმარშიც ამ სიმშვიდეს იშვიათად ვპოულობ“.

მევიოლინეს 120-ზე მეტი ალბომი აქვს გამოცემული. ორკესტრ „კრემერატა ბალტიკასთან“ ერთად კი 25 ალბომი ჩაწერა. გიდონ კრემერი უკრავს ნიკოლო ამატის ვიოლინზე, რომელიც 1641 წელს შეიქმნა. ის სამი წიგნის ავტორიცაა, რომელშიც მისი მხატვრული მოსაზრებებია თავმოყრილი.

# თბილისი მე-3 საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალს მასპინძლობს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 27 თებერვილიდან 6 აპრილამდე, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თბილისის III საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი ჩატარდება. ღონისძიება, საზეიმოდ, 27 თებერვალს ვახტანგ ჭაბუკიანის ბინა - მუზეუმში გაიხსნა, სადაც სამეცნიერო - შემოქმედებითი კონფერენცია მოეწყო, ასევე შესრულდა საცეკვაო და მუსიკალური ნომრები.

მარტში დაგეგმილია მასტერ-კლასები საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და შეხვედრები ცნობილ ქორეოგრაფებთან. 1-3 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თბილისის III საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი - კონკურსი კლასიკურ, სახასიათო და თანამედროვე ცეკვებში პროფესიონალ და თვითშემოქმედ კოლექტივებს შორის. ფესტივალის მონაწილეებისათვის, ასევე ჩატარდება მასტერ-კლასები კლასიკურ ცეკვაში და ჰიპ-ჰოპში, სხვადასხვა მუზეუმში უცხოელ სტუმრებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ექსპოზიციები, მოეწყობა ექსკურსიები თბილისსა და მის შემოგარენში.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი პროფესიონალი და მოყვარული მოცეკვავეები, სახელმწიფო სკოლები და სხვადასხვა სახის კერძო სასწავლო დაწესებულება. აგრეთვე, საქართველოს ეწვევიან აზერბაიჯანის, თურქეთის, და სხვა ქვეყნების კოლექტივები და სოლო შემსრულებლები. ფესტივალი საჩუქარს უკეთებს მიუსაფარ ბავშვთა დღისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის ბავშვებს, რომლებიც 3 აპრილს გამართულ კონცერტს უფასოდ დაესწრებიან.

ფესტივალის მიზანია საქართველოში მოღვაწე ყველა ქორეოგრაფიული სახელმწიფო თუ კერძო სკოლის და სტუდიის აღსაზრდელების საშემსრულებლო დონის ამაღლება, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი და უცხოელი პედაგოგების თავმოყრა, შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება, ამასთანავე ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნის უკვდავყოფა და მისი შემოქმედების პოპულარიზაცია.

ფესტივალის ორგანიზატორი საქართველოს პედაგოგ – ქორეოგრაფთა ასოციაციაა. ფესტივალის მხარდამჭერები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ვახტანგ ჭაბუკიანის მუზეუმი არიან.



# "ბერლინალე" და "ოსკარი" ქართული ფილმების გარეშე

ცნობილი ტელეწამყვანის გიორგი სანაიას ვაჟი, სანდრო სანაია ამ ეტაპზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტია და ჟურნალისტიკის სპეციალობას ეუფლება. „ობზერვერთან“ საუბარში ამბობს, რომ კინო მისი ჰობია და უახლოეს მომავალში გეგმავს რომელიმე ფილმის ჩვენება და საჯარო განხილვა მოაწყოს, რომელსაც თავად გაუძღვება.

„იყო კინომცოდნე - ეს ადვილი არ არის. იმასაც ვერ დავიბრალებ, კინომცოდნე ვარ–მეთქი, ძალიან ნაივური და ამპარტავნული იქნება ჩემი მხრიდან, მე უბრალოდ დაიტნერესებული ვარ კინემატოგრაფიით და ყოველდღიურად ვიღრმავებ ცოდნას. ამის გარდა აუცილებელია, იცოდე ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა და, ზოგადად, ხელოვნების უმეტესი დარგი, რადგან ეს ყოველივე მოქცეულია იმ სამყაროში, რასაც კინო ჰქვია“, - აღნიშნავს სანაია.

ბერლინალეს რიგით 66–ე ფესტივალი, რომლის ჟიურიში მერილ სტრიპი იყო, ახალგაზრდა კინორეჟისორის აზრით საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. გამარჯვებული კი იტალიური ფილმი „ცეცხლი წყალთან“ გახდა, თუმცა ასევე შეიძლებოდა გამარჯვებულის სახით გვეხილა ფილმი „მარტო ბერლინში“ ან კიდეც „სიკვდილი სარაევოში“.

წელს, ისევე როგორც შარშან ქართული ფილმები ბერლინში წარდგენილი არ ყოფილა, თუმცა ბერლინალესთან თანამშრომლობის 11 წლისთავზე, ფესტივალის ფარგლებში საქართველოს სტენდი მაინც დაეთმო, სადაც მოხდა სახელმწიფო პროექტის „გადაიღე საქართველოში“-ის პრეზენტაცია. ასევე გაიმართა რეზო გიგინეიშვილის ფილმის, ქართულ-რუსული კოპროდუქციის „მძევლები“-ის ჩვენება. ამ ხნის მანძილზე ბერლინალეზე 15 ქართული ფილმი იქნა წარდგენილი, მათ შორის ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“, ნანა ექვთიმიშვილისა და საიმონ გროსის „გრძელი, ნათელი დღეები“, თინათინ კაჟრიშვილის „პატარძლები“ და სხვ. პირველი ქართული ფილმი ბერლინალეზე გიორგი შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ იყო, რომელიც 1986 წელს ვერცხლის დათვით დაჯილდოვდა. იგივე ჯილდოს მფლობელი გახდა თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“ 1993 წელს.

სანდრო სანაიას აზრით, თანამედროვე ქართული კინო სამ ეტაპად იყოფა: საბჭოთა პერიოდი, დრო, როდესაც ცენზურა თავისას შვრებოდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, გვყავდა ისეთი დიდებული რეჟისორები, როგორებიც არიან: თენგიზ აბულაძე, ფარაჯანოვი და ასე შემდეგ.

„ამ დროს ჩვენი კინო, ჩემი აზრით, პიკში იყო. იღებდნენ „მონანიებას“, „შერეკილებს“, „ნატვრის ხეს“, „მიმინო“. სია დაუსრულებლად გრძელდება, ჩვენდა საბედნიეროდ. იუმორი, ისევე, როგორც, ტრაგედია – ორივე ხარისხიანად გადმოიცემოდა ფილმების მეშვეობით და ნებისმიერი სოციალური ფენისთვის (თუმცა მაშინ ყველა ერთ სოციალურ ფენად ითვლებოდა), ნაცნობი და ადვილად გასაგები იყო“, - თქვა სანდრომ.

სანაია ფიქრობს, რომ პოსტ–საბჭოთა პერიოდმა დიდი დაღი დაასვა ქართულ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი შემოქმედ ხალხს. მათ სოციალური გაჭირვების ფონზე გადაიღეს დროის ადეკვატური და შესაბამისი ფილმები და ზუსტად აქედან მომდინარეობს პრობლემა, კლიშეები და კომპლექსები, რომლებიდანაც დღემდე ვერ ვთავისუფლდებით.

„მეტად გაყიდვადი და აქტუალურია სექსი და ტრაგედია, ეს არ არის სიახლე ხელოვნებაში, ამიტომაც ვიღებთ ტრაგიკულ ფილმებს და ფილმებს, რომლებშიც ვხედავ შიშველ შორენა ბეგაშვილს, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, რამდენად ნიჭიერი რეჟისორები გვყავს ლევან თუთბერიძის, ზაზა ურუშაძისა და გიორგი ოვაშვილის სახით“, - აღნიშნა სანდრომ.

ლევან თუთბერიძის ახალი ფილმი „მოირა“, ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“, ურუშაძის „მანდარინები“ – ეს ფილმები, ახალგაზრდა კინომცოდნის თქმით რამდენიმე წელიწადში ქართულ კინოკლასიკას უნდა მიემატოს. მით უმეტეს, რომ „მანდარინებს“ 2015 წლის ოსკარზე შანსი ჰქონდა მოეპოვებინა ოსკარი საუკეთესო უცხოურენოვანი ფილმების ნომინაციაში. მაგრამ 2016 წელს, სამწუხაროდ, არცერთი ქართული ფილმი არ არის ნომინაციაში წარდგენილი. შანსი ჰქონდა „მოირას“, თუმცა ვერ მოხვდა.

სანდრო ქართული სერიალების თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ „ჩემი ცოლის დაქალები“ და „ტიფლისი“ ორი ყველაზე პოპულარული სერიალია დღესდღეობით, რადგან ერთი ქართულ სტერეოტიპებსა და ცრუ ტრადიციებზეა აგებული, მეორე კი ისტორიულ ხასიათს ატარებს და მსახიობების მაღალრპროფესიონალური შესრულება და ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა მაყურებელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

„რეჟისორებისა და მსახიობების ძალიან კარგი თაობა მოდის ამიტომ მეტი დატვირთვა და დაფინანსების გამოყოფაა საჭირო, იმისათვის, რომ ქართულმა კინომ ჰპოვოს განვითარება, თუმცა, ერთი მხრივ, მაყურებელმაც უნდა იაქტიიუროს, რადგან კინო მაყურებლის გარეშე არ არსებობს“, - თქვა სანდრომ.

სანაიას აზრით, პრობლემაა ისიც, რომ ახალგაზრდები არ იჩენენ დიდად სურვილს რომ დაესწრნონ კინოჩვენებებს, მაშინ როცა აგერ უკვე 16 წელია ყოველწლიურად იმართება თბილისში ყველაზე დიდი კულტურული მოვლენა, რასაც თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ეწოდება. ფესტივალზე შესაძლებელია ძალიან დაბალ ფასად უახლესი ფილმების ჩვენება და მასტერკლასებზე დასწრება. თუმცა, როგორც ირკვევა ამ შესაძლებლობას საქართველოში უფრო ზრდასრული ადამიანები იყენებენ ვიდრე დღევანდელი ახალგაზრდობა.

# ეროვნულ გალერეაში აზერბაიჯანელი მხატვრის გამოფენა მოეწყობა

1-ელ მარტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნება აზერბაიჯანელი მხატვრის ფარჰად ხალილოვის გამოფენა.

ფარჰად ხალილოვი თანამედროვე ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია. მან შეძლო საბჭოთა იდეოლოგიისაგან თავისუფალი, საკუთარი სტილის შექმნა და კავკასიელის მდიდარი ბუნებისა და შინაგანი სამყაროს საინტერესო კუთხით წარმოჩენა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მის მიერ სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ფერწერული ტილოები.

ფარჰად ხალილოვს დღემდე არაერთი პერსონალური გამოფენა ჰქონდა ლონდონში (საათჩის გალერეა), ბერლინში (საქალაქო ადმინისტრაციის გალერეა), მოსკოვში (მხატვართა ცენტრალური სახლი და ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა), ბაქოში (სახელმწიფო მუზეუმების ცენტრი), პარიზში (La Cite Internationale des Arts). ასევე, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ქვეყნის 40-მდე ჯგუფურ გამოფენაში. მისი ნამუშევრები ინახება აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის, ლიტვის, გერმანიის, ჩინეთის სახელმწიფო მუზეუმებისა და აზერბაიჯანის მხატვართა საერთაშორისო კონფედერაციის კოლექციებში. ასევე, აშშ-ს, გერმანიის, პოლონეთის, საფრანგეთის და მექსიკის კერძო კოლექციებში.

ფარჰად ხალილოვი 1987 წლიდან დღემდე აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის თავმჯდომარეა. მას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. დღეს, მისი ნამუშევრები იყიდება სოტბისა და ფილიპ დე პიურის აუქციონებზე.

აღნიშნული გამოფენა საქართველოსა და აზერბაიჯანის მრავალმხრივი ურთიერთობების კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა.

გამოფენის მხარდამჭერია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, აზერბაიჯანის ხელოვნების მუზეუმი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი. გამოფენა 2016 წლის 22 მარტამდე გაგრძელდება.

# "მე და საზოგადოება" სკოლებში უკვე პისებული ჰაქტიკის გამოძახილია

მარი ტაბატაძე

სადავოდ ქცეული სასკოლო საგნის, ,,მე და საზოგადოების" სწავლებასა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყველა საჯარო თუ კერძო სკოლაში მომავალ წლებში გეგმავს. უწყების ინფორმაციით, ახალი საგანი საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლებს წარმოადგენს და აერთიანებს ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო ბადეში მოქცევას დაწყებითი საფეხურიდანვე ისახავს მიზნად და სწორედ ამიტომ, ახალ საგანს მოსწავლეები III-IV კლასებში ისწავლიან.

რაც შეეხება შინაარსს, საგნის ფარგლებში შესასწავლ თემათა ჩამონათვალში არის: ჩემი ოჯახი, სასკოლო გარემო, მეგობრები და გარემო, რომელშიც ვცხოვრობ. აქცენტი ასევე კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება, უსაფრთხოების წესების დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, შემწყნარებლობა და სხვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, საგნის მიზანი არის მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი, ფართო და სიღრმისეული დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ. შედეგად კი, მოსწავლე უფრო მეტად გააცნობიერებს მის არსებულ გარემოს და ფორმირდება, როგორც აქტიური მოქალაქე.

აღსანიშნავია, რომ მსგავს საკითხებს სკოლის აღსაზრდელები სამოქალაქო განათლებისა და სადამრიგებლო საათის ხარჯზე დღესაც განიხილავენ, თუმცა, იგულისხმება საბაზო და საშუალო საფეხური. დაწყებითი კლასები კი, როგორც ახალი საგნის ინიციატორები აღნიშნავენ, მსგავსი დისკუსიის დეფიციტით ხასიათდება. ისინი ახალ საგანს მნიშვნელოვან სიახლედ არ მიიჩნევენ და მას განიხილავენ, როგორც ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს. ინიციატორების განმარტებით, შედარებით მაღალი კლასებიდან მსგავსი საკითხების შესწავლის დაწყებისას, მოსწავლეებს უჭირთ თავიანთი დამოკიდებულებების მოქმედებაში გადატანა. მათივე თქმით, სასწავლო პროცესის მონიტორინგმა აჩვენა ამ მიმობნეული საკითხების დაწყებით კლასებშივე ერთ დისციპლინაში მოქცევის საჭიროება. სწავლების დაგეგმილ მეთოდებს კი წარმოადგენს როლური თამაში და პრაქტიკული სწავლება. ორივე მათგანი მოსწავლეს სიტუაციის უკეთ გათავისებისა და აღქმაში დაეხმარება.

რამდენად საჭიროა ზემოხსენებული საგნის დამატება დაწყებით კლასებში და რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეს მისი სწავლება სკოლებში - ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც აუცილებლად საჭიროებს მრავალ ჭრილში განხილვას, რაც თავის მხრივ, გულისხმობს საგნის მიზნებისა და მათი მიღწევის გზების სიღრმისეულ შესწავლას.

ერთი შეხედვით, მიზნებისა და მიმართულებების ამოკითხვისას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის იმეორებს სადამრიგლებლო პროგრამის ძირითად ფუნქციებს. ორივე მათგანი მოსწავლის სოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობისკენ არის მიმართული და მიზნად ისახავს მის პიროვნულ, მორალურ, ფიზიკურ და შემეცნებით -კულტურულ განვითარებას. აქედან გამომდინარე, ახალი საგანი განიხილება, როგორც პირველის დუბლირება, საათობრივ ბადეში მისთვის საგნის სტატუსის მინიჭება კი ფორმალობად მიიჩნევა.

განსაკუთრებით საყურადღებო არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა სპეციალობის ადამიანმა უნდა ასწავლოს ახალი საგანი. როგორც აღინიშნა, ის საზოგადოებრივ საგანთა ჯგუფშია განაწილებული, ამასთან, გულისხმობს დაწყებით საფეხურზე სწავლებას. აქედან გამომდინარე, მასწავლებელთა შერჩევის პროცესი, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებისა თუ სხვა მახასიათებლების მიხედვით, საკმაოდ რთულია. უდავოდ საყურადღებო საკითხად სახელდება მათ მიერ ისეთი საკვანძო სიტყვების განმარტება, როგორიცაა თემი, ოჯახი, ღირსება და ა.შ.

მასწავლებლებზე საუბრისას, ასევე მნიშვნელოვანია მათ მიერ ერთი საფეხურიდან მეორეში გადასვლისათვის საჭირო საგნობრივი გამოცდის პროგრამა. ეს საკითხი საყურადღებოა, რადგან პედაგოგის ხელფასი სქემაში მის სტატუსთან ხდება მიბმული.

იმისათვის, რომ ახალ საგანს თავისი საათობრივი ბადე განესაზღვროს, საათობრივი დატვირთვა უნდა შეუმცირდეს სხვა რომელიმე საგანს იმავე ჯგუფიდან, რაც მანამდე დასახული შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, სავარაუდოდ დროის შემცირების გამო გარკვეული სახის პრობლემებს შექმნის. მეორე მხრივ, თუ ახალი საგნის პირობებში დაწყებით საფეხურზე საათობრივი დატვირთვის დამატება იგულისხმება, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გავთვალისწინებით არც ესაა მარტივად გადასაწყვეტი.

საგნის სწავლებისთვის შემდეგ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ახალი სახელმძღვანელოს შექმნა და საგნობრივი სტანდარტის შედგენა. ეს დამატებით ფულად რესჯურსს საჭიროებს, რაც საზოგადოების ნაწილისთვის თანხების არარაციონალური ხარჯვაა. მათი აზრით, ახალი საგნის ფუნქციები უკვე არსებული საგნის (სამოქალაქო განათლება) ფუნქციებს ემთხვევა და დაწყებით საფეხურზე მისი დამატების საჭიროება არ დგას.

საგნის სწავლების პროცესში, არანაკლებ რთული საკითხი პილოტირებაა. პასუხების განზოგადების მიზნით, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საგნის გამოსაცდელი სეგმენტი. პროცესისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეირჩეს ერთი ტიპის მახასიათებლების მქონე სკოლები, რათა შეიქმნას შედეგების განზოგადების საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ საგანი ,,მე და საზოგადოება'', თავისი შინაარსით, გარკვეულწილად, არ არის უცხო ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის, ის ერთი მხრივ, სიახლეა და, ბუნებრივია, პრობლემები მის დანერგვასთან დაკავშირებით მაინც არსებობს. მთავარია, დისკუსიები გაუგებრობას და არასწორ აღქმას არ უკავშირდებოდეს. საგ-ნის შესახებ ფართო განხილვებში სკოლებსა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ერთად ჩართულნი იყვნენ: მშობლები, ფსიქოლოგები, ექსპერტები, სასულიერო პირები. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მსჯელობა ახალ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ დასრულებულა, არც საგანმანათლებლო რესურსი არის დაბეჭდილი სახელმძღვანელოების სახით და სტანდარტზე მუშაობაც კვლავ გრძელდება.

დიდ ძალისხმევას მოითხოვს მასწავლებელთა მომზადების დონე და სათანადო სასწავლო მეთოდების მომზადება. ახალი საგნის სწავლება შესაძლებლი მას შემდეგ გახდება, რაც დამტკიცდება სტანდარტი, შეიქმნება ახალი სახელმძღვანელოები და გადამზადდებიან პედაგოგები. ასე რომ, სანამ, სრული სურათის დანახვა შეუძლებელია, დასკვნების გამოტანაც მეტ სიფრთხილეს საჭიროებს. საზოგადოებას კი, გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, მეტი ინფორმირებულობა მართებს.



airBaltic

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| RIGA - TBILISI | BT 722 5,7 RIX TBS | 23:05 | 04:35 | +1 | 735 | 03:30 |
| TBILISI - RIGA | BT 723 1,6 TBS RIX | 05:20 | 06:55 | | 735 | 03:55 |

airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport

# თბილისში დეხბში "დინამომ" იმარჯვა

ვახო ყიფიანი

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ცხინვალის ,,ცხინვალმა'' მარტვილის ,,მერანს'' უმასპინძლა და ფრედ 1:1 ითამაშა. ანგარიში ,,ცხინვალის'' ფეხბურთელებმა მე-17 წუთზე გახსნეს, ორ წუთში მარტვილელებმა წონასწორობა აღადგინეს. მატჩში დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა, სეზონის განახლების შემდეგ ,,მერანმა'' ორ ტურში 4 ქულა მოიპოვა, მარტვილელები უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვიან და მათთვის თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ქუთაისის ,,ტორპედომ'' ზუგდიდის ,,ზუგდიდს'' 2:0 სძლია. ანაგარიში პირველ ტაიმში გაიხსნა, გოლი 35-ე წუთზე გიორგი ქიმაძემ გაიტანა. მეორე ტაიმის ბოლო წუთზე კაპანაძემ მეორე გოლი გაუტანა ,,ზუგდიდს'' და ,,ტორედომ'' სამი ქულა მოიპოვა. სამი ქულა მოიპოვა ,,სამტრედიამაც'', რომელმაც თერჯოლის ,,საპოვნელა'' 3:0 დაამარცხა. სამტრედიელებმა პირველ 30 წუთში ორი ბურთით დაწინაურება მოახერხეს, ანგარიში მე-9 წუთზე ბუდუ ზივზივაძემ გახსნა, მეორე გოლი 28-ე წუთზე გავიდა, თავი მარკოზაშვილმა გამოიჩინა. მატჩის საბოლოო წერტილი ჯიქიამ დასვა, რომელმაც ,,საპოვნელას'' 83-ე წუთზე გაუტანა გოლი. გოლის გარეშე, ფრედ დასრულდა მატჩი ლანჩხუთის ,,გურიასა'' და ქობულეთის ,,შუქურას'' შორის.

უხვგოლიანი გამოდგა საჩხერეში გამართული შეხვედრა. ,,ჩიხურამ'' ,,საბურთალო'' 5:0 გაანადგურა. პირველ ტაიმში ,,ჩიხურას'' ფეხბურთელებმა 3 გოლი გაუტანეს მეტოქეს, მეორე ტაიმში კიდევ ორჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი და სეზონის განახლების შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმეს. ბოლნისის ,,სიონმა'' ფოთის ,,კოლხეთი'' 3:1 დაამარცხა. ანგარიში 27-ე წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა გახსნა, მეორე ტაიმში გოგინაშვილმა ორ ბურთამდე გაზარდა ბოლნისელთა უპირატესობა. 73-ე წუთზე ,,კოლხეთმა'' ანგარიშში სხვაობა შემაცირა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა სხვაობა ისევ ორბურთიანი გახადა და ,,სიონმაც'' 3:1 მოიგო.

საინტერესო გამოდგა შეხვედრა ბათუმის ,,დინამოსა'' და გორის ,,დილას'' შორის, მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. გუნდებმა სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენეს. ოთარ მარცვალაძემ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფორვარდია. გორელები ორჯერ აგებდნენ, მაგრამ მარცვალაძემ ორჯერვე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. ,,დილას'' წაფორხილებით თბილისის ,,დინამომ'' იხეირა.

თბილისურ დერბში ,,დინამომ'' ,,ლოკომოტივი'' 2:1 დაამარცხა. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა. მეორე ტაიმში ანგარიში ,,ლოკომოტივმა'' გახსნა, კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ,,დინამოს'' მცველებმა საჯარიმოს გარეთ გამოტანეს, აქ ბურთს რევაზ ჩიტეიშვილი დახვდა, რომელმაც უძლიერესი დარტყმით ამ სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. ,,დინამომ'' ხუთ წუთში გაათანაბრა, გოლი ალექსანდრე იაშვილმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა. გამარჯვების გოლი ოთარ კიტეიშვილის ანგარიშზეა. მან 69-ე წუთზე შემლო გოლის გატანა. ,,დინამომ'' 46 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარს გორის ,,დილას'' 7 ქულით გაუსწრო. მესამე ადგილს 34 ქულით ცხინვალის ,,ცხინვალი'' იკავებს.

# სპორტული სიახლეები

## ფეხბურთი

მოსკოვის ,,სპარტაკი'' ამხანაგურ შეხვედრაში ლიმასოლის ,,არისს'' შეხვდა და მეტოქე 9:0 დაამარცხა. ,,სპარტაკის'' შემადგენლობაში გიორგი მელქაძემ და ჯანო ანანიძემ ითამაშეს. მელქაძემ სამი საგოლე პასი გააკეთა, ჯანომ კი მელქაძესთან ერთად ზე ლუიშს გაატანინა, რომელმაც ამ მატჩში ხუთი გოლის გატანა შეძლო.

## რაგბი

საქართველოს ეროვნულმა სარაგბო ნაკრებმა ესპანეთი 38:7 დაამარცხა. ჩვენმა ნაკრებმა მეორე წრეში სამიდან სამი თამაში მოიგო და სამივე მატჩში პრემიალური ქულა მოიპოვა. ამ ეტაპზე ჩვენს ნაკრებს 34 ქულა აქვს და მეორეადგილოსან რუმინეთს ხუთი ქულით უსწრებს. მომდევნო შეხვედრას ჩვენი ნაკრების 12 მარტს რუსეთის წინააღმდეგ გამართავს.

## კალათბურთი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტნის ზაზა ფაჩულიას გუნდმა "დალას მავერიკსმა" NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ მატჩში საკუთარ მოედანზე "დენვერ ნაგეტსი" მიიღო და მეტოქე ოვერტაიმში, ანგარიშით 122:116 დაამარცხა.

ზაზამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა, მაგრამ მხოლოდ 8:11 წუთი. მან მოედანი უქულოდ დატოვა. ფაჩულიას ფარშიც უსვრია, მის ანგარიშზე კი მხოლოდ ერთი მოხსნა და ორი ჩაჭრა იყო.

## ფეხბურთი

26 თებერვალს, ციურიხში გამართულ ფიფას კონგრესზე ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. ჯანი ინფანტინომ არჩევნების მეორე ტურში 115 ხმა მიიღო და კონკურენტ შეიხ სალმანს 27 ხმით აჯობა.

* * * * *

როსტოვის "როსტოვმა" რუსეთის ჩემპიონატის განაცხადში გუნდის ქართველი ახალწვეული ნიკა კაჭარავა შეიყვანა. კაჭარავამ კონტრაქტი რუსეთის პრემიერლიგის გუნდ "როსტოვთან" ამ წლის ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში გააფორმა და რამდენიმე ტესტმატჩშიც ჩაატარა, მაგრამ ჯერჯერობით გოლი არ გაუტანია.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

**Managing Director:** Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

**Chief Editor:** Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

**Subscription & Advertising:** sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.

0179, Tbilisi, Georgia

E: info@observer.com.ge

T: +995 557 68 36 53